603/14.088

ლელო

№ 41
(11 293)

1 – 3 ივნისი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## თვის მონაგარი

# მაისით, იქნებ სპორტმაც გამოიზაფხულოს...

კარგა ხნის შემდეგ, ამ წლის მაისში, ქართულმა სპორტმა პირველად შეძლო არ ჩაეგდო არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრება. ყველაფერი, როგორც იცით, ფინანსებზეა დამოკიდებული. ის, რომ მაისში ასე თუ ისე, შესრულდა საბიუჯეტო პირობა, იმ მოწყალების შედეგია, რომელიც სახელმწიფომ სპორტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან გაიღო. რაც გინდათ ის თქვით, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა, პირადად მინისტრი დავით ონოფრიშვილი ნამდვილად ეროვნული კაცი ჩანს, ვიდრე მისი წინამორბედი იყო. ვთქვათ პირდაპირ, თუ დღეს ქართული სპორტი უაღრესად კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა, უპირველესად, ფინანსთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელების სინდისზეა. ამას პირველად არ ვამბობთ, მათი ზეობის პერიოდშიც არაერთხელ აგვიტეხია განგაში, მაგრამ...

მაისი თავისთავად იყო სპორტული ღონისძიებებით დახუნძლული თვე — მსოფლიო პირველობებს და მსოფლიო თასს, ევროპის ჩემპიონატებს, ტურნირებს თუ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებს ჩვენების მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია. ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც ის იყო, რომ ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მიუნხენსა და მილანში წარმატებით იასპარეზა და მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი გახდა, რაც ამ შესანიშნავი სპორტსმენის უხუნებელ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

უდავოდ შთამბეჭდავია ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში. ეს გუნდი ახლა ერთადერთია საქართველოდან, რომელმაც თავი დააღწია საკვალიფიკაციო ეტაპს და ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის შანსს ინარჩუნებს. ახლა დადგა დრო, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სპორტის ოლიმპიურ სახეობებს და მთელი ძალისხმევა, მიზერული სახსრებითურთ, სიდნეისთვის მზადებას და ლიცენზიების მოპოვებას მოხმარდეს. დასამალი არ არის, რომ პრიორიტეტი ჭიდაობის სახეობებს ენიჭება. მაისში ჩვენმა ფალავნებმა ევროპის ჩემპიონატები არც თუ დიდი წარმატებით მოისტუმრეს, მაგრამ ენა არ მოგიბრუნდება მათ დასაძრახად. მარტივად ვთქვათ, კაცი რომ დიდხანს აშიმშილო, მერე ერჯერადად კარგად გამოკვებო და ლომებთან მიუშვა საბრძოლველად, ვითომ უნდა ჰქონდეს რაიმე წარმატების იმედი? ტურნირებს რომ გამოტოვებ, შეკრებებიც მხოლოდ ეპიზოდურად რომ ჩატარდება, მარტო „ქართველობით" არ გაგიმართლებს.

გაგვახარა რუსუდან ხოფერიამ, რომელმაც კვლავ აღიდგინა ჩვეული სპორტული ფორმა და სანკტ-პეტერბურგში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო თასის ეტაპი მოიგო.

გასულ თვეში ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ბენო ქაშაქაშვილის ხელმძღვანელობით ევერესტის დალაშქვრა და სოკ-ის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ჩვენს დედაქალაქში სტუმრობა.

თბილისმა წარმატებით უმასპინძლა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირს და ლეილა მესხის თაოსნობით ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირს. ეს თვე ღირსსახსოვარ თარიღად დარჩება ქუთაისის „ტორპედოს" ცხოვრებაში — მან ხომ პირველად მოიპოვა ფეხბურთში საქართველოს თასი. გაიხარეს ხობელებმაც, რომლებმაც ეროვნული ჩემპიონატის I ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

## თენგიზ გაზდელიანი — თვის საუკეთესო სპონსორი

**მაისში ვაჟ ხელბურთელთა წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაზდელიანმა. „ლელომ" თ. გაზდელიანი თვის საუკეთესო სპონსორად სცნო.**

# ნინო სალუქვაძის მესამე მსოფლიო თასი



როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო თასის გათამაშებაში, მიუნხენში, ნინო სალუქვაძემ მსოფლიო თასი მოიგო 25 მ. პისტოლეტიდან სროლაში. შემდეგ ნინომ ასევე წარმატებით იასპარეზა მილანში. მსოფლიო თასი 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და ამიტომ ყველა შეჯიბრებაში (სულ ოთხი, ერთმანეთზე მიყოლებით) ცალ-ცალკე თამაშდება მსოფლიო თასი ცალკეული ვარჯიშების მიხედვით (სროლა პნევმატური იარაღიდან და პისტოლეტიდან). მოასპარეზეებმა მიუნხენის შემდეგ მილანში გადაინაცვლეს. იქ ნინომ პნევმატური იარაღიდან სროლაშიც მოიგო მსოფლიო თასი და პისტოლეტიდან სროლაშიც. თუ შევაჯამებთ, ნინოს წარმატებები მსოფლიო თასის ამ გათამაშებაში ასე გამოიყურება:

სეული — მეორე ადგილი, მიუნხენი — მსოფლიო თასი (25 მ სროლაში), მილანი — მსოფლიო თასი ორივე ვარჯიშში. სამი მსოფლიო თასი! დიდებული მიღწევაა. ახლა დარჩა მეოთხე თასის გათამაშება. ეს ასპარეზობა გაიმართება ატლანტაში, მაგრამ ნინომ თავად განაცხადა უარი იქ მონაწილეობაზე, დასვენება არჩია.

წლეულს ჩასატარებელი დარჩა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ბორდოში გაიმართება ივლისში და სუპერთასი მიუნხენში — სექტემბრის პირველ დეკადაში. იმედია, ნინო კვლავ გაგვახარებს!

*მილანი. პნევმატური იარაღიდან სროლა 10 მ:* 1. ნინო სალუქვაძე — 485,6, 2. ი. მიროსლავა (პოლონეთი) — 481,1, 3. ჟი რენი (ჩინეთი) — 484,0.

*პისტოლეტიდან სროლა (60 გასროლა). 25 მ:* 1. ნინო სალუქვაძე — 689,4, 2. დიანა იორგოვა (ბულგარეთი) — 684,0, 3. ლუნა ტაო (ჩინეთი) — 681,0.

## „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის კვალდაკვალ

# რატომ ძაბავს სიტუაციას განათლების სამინისტრო?

„ლელოს" 38-ე ნომერში დაუფარავად ვწერდით განათლების სამინისტროსა და მოსწავლე-სპორტსმენთა შორის არაკეთილმოსურნე ურთიერთობის გამო შექმნილ საგანგებო ვითარებაზე. სამინისტროში უარს უცხადებდნენ სპორტულ ორგანიზაციებს მოზარდ სპორტსმენების სასკოლო გამოცდებთან განთავისუფლებაზე, რამაც პანიკა დათესა მშობლებში. ბევრი მშობელი მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ უკვე შეჯიბრებაზე გამგზავრებული მოსწავლეები, წამსვლელების ვიზები კი გაეუქმებინათ. ეს იყო მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა. წარმოიდგინეთ, კლასიდან-კლასში გადასაყვან გამოცდებზე გამოუცხადებლობის გამო, მოსწავლეს საშემოდგომო გამოყვებოდა, ის კი, ვინც სკოლას ამთავრებდა, სიმწიფის ატესტატს ვერ მიიღებდა.

გუშინ, 31 მაისს, გამოცდების დაწყების დღეს, განათლების მინისტრს ალექსანდრე კარტოზიას ხელი უნდა მოეწერა მოსწავლე – სპორტსმენთა სასკოლო გამოცდებიდან განთავისუფლების ბრძანებაზე. ეს მინისტრს ჯერ კიდევ გასულ პარასკევს განუცხადებია, მაგრამ 31 მაისს საღამოსთვის ჯერ კიდევ არ იყო ხელმოწერილი ბრძანება. „ალბათ პასუხს ხვალ დილით შეიტყობთო", – გვიპასუხა მინისტრის მდივანმა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს, განათლების სამინისტრო განგებ ძაბავს სიტუაციას. ვის სიამოვნებს მშობლების გაუთავებელი ნერვიულობა და ქართული სპორტის აბუჩად აგდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამბო მსოფლიო თასის გათამაშება

# სამბო + 2 მსოფლიო თასი და ორი საპრიზო ადგილი



რუსული და მსოფლიო სამბოს მექაში ქ. ქსტოვოში დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება სპორტის ამ სახეობაში. უსახსრობის გამო საქართველოს ნაკრები იქ სრული შემადგენლობით ვერ გაემგზავრა და მხოლოდ პირად პირველობაში იასპარეზეს. 6 მონაწილიდან ოთხმა წარმატებით იასპარეზა – კასპელმა ივანე გამხიტაშვილმა (90 კგ) და საგარეჯოელმა მამუკა კურდღელაშვილმა (62) მსოფლიო თასი მოიპოვეს (ორივე ფალავანი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა), მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა კასპელი ჯამბულათ ქამხაძე (მძიმე), ხოლო მისი რაიონის მეორე წარმომადგენელი ახალბედა მიხეილ ფალაშვილი (68) მესამე იყო.

*სურათებზე: მამუკა კურდღელაშვილი (მარცხნივ), ივანე გამხიტაშვილი.*

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე

# ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა



ახლა კი თვალი გადავავლოთ ტორპედოელთა 30 წლიან ასპარეზობას საკავშირო სარბიელზე. 1962 წელს გუნდი გახდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის მფლობელი (სამართლიანი თამაშისათვის).

1963 წელს ტორპედოელთა მეკარე რ. ურუშაძე ჩვენი ქვეყნის 23 საუკეთესოთა შორის სახელგანთქმული ლ. იაშინის შემდეგ მეორე ნომრად იქნა დასახელებული.

ძმები გ. და ლ. ნოდიები ევროპის ჩეპიონები არიან იუნიორთა შორის. 1969 წლის საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზობდა ტორპედოელთა თავდამსხმელი ჯ. ხერხაძე, მთელი სეზონის მანძილზე იგი გაზეთ „ტრუდის" პრიზის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი იყო.

სეზონის დასასრულს ჯ. ხერსაძეს,



ქუთაისის „ტორპედოს" და თბილისის „დინამოს" შეხვედრის მომენტი.

საყურადღებოა, რომ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში არა ერთხელ იყვნენ დასახელებული გ. ცხოვრებოვი, რ. ძოძუაშვილი, ჯ. ხერხაძე, ს. კუტივაძე, გ. ნოდია, თ. სულაქველიძე, თ. კოსტავა და სხვები. ხოლო რ. შენგელია ჩვენში ქვეყნის №1 ფეხბურთელად ორჯერ იქნა აღიარებული.

1964 წელს ჟურნალ „სმენას" პრიზი დაიმსახურა „ტორპედოს" დებიუტანტმა გ. დუნდუამ.

სპარტაკელ ნ. ოსიანინს და როსტოველ ვ. პრასკურინს მოწინააღმდეგეთა კარში გატანილი აღმოაჩნდათ 16-16 გოლი.

„ტრუდის" სარედაქციო კოლეგიამ ანალიზი გაუკეთა ჩემპიონატის შედეგებს და გადაწყვიტა პრიზი გადაეცა ნ.ოსიანინისათვის. მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ იმ პერიოდში ნ. ოსიანინი სსრ კავშირის ნაკრების წევრი იყო და რაც მთავარია, მან გოლები გაიტანა კიევის დინამო-

იხ. მე-4 გვ.

დასაწყისი. იხ. „ლელო" №36, 37, 38, 39, 40

# ქართველების მეოთხე ცდა...

ქართველმა ხელბურთელებმა წარმატებით განვლეს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფური ტურნირი და ძალიან ახლოს არიან ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის მიზანთან.

ამ ეტაპზე წარმატებისათვის ჩვენ ვაჟ ხელბურთელებს, შინ, ლატვიელებთან, გასულ კვირას გამართულ მატჩში ფრეც აძლევდათ ხელს, თვით ლატვიელებისთვის კი ეს შეხვედრა უმტკივნეულო იყო, ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მატჩი დაძაბულად წარიმართა და ძალიან ხშირად თამაში, როგორც იტყვიან, ქულა-ქულაში მიდიოდა. არაერთხელ გათანაბრდა ანგარიში, თუმცა, სტუმრები წინ ერთხელაც ვერ გავიდნენ. მატჩის ბოლო წუთამდე კი ვერც მასპინძლებმა შესძლეს თუნდაც ანგარიშში დამაჯერებელი დაწინაურება ეს მათ სულ ბოლოს მოახერხეს.

თავიდან კი, მართალია, ანგარიში ქართველებმა წაიყვანეს — 2:0, უმალვე აღადგინა წონასწორობა მეტოქემ. აი, ამის შემდეგ მიმდინარეობდა თითქმის თანაბარი თამაში, პერიოდული გაძევებები, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მხრიდან ხელშესახები უპირატესობის მოპოვების საწინდარი არ გამხდარა. პირველი ნახევარი საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით მოიგო (14:13). მეორე ნახევრის პირველ ხუთ წუთში სტუმრები შესამჩნევად გააქტიურდნენ და მატჩის ეს მონაკვეთი 2:1 მოიგეს, თუმცა, წინ ვერ გავიდნენ. მე-13 წუთზე კეკელიძემ ზუსტი ტყორცნით აიღო მეტოქის კარი ანგარიშის სხვაობა თავისიანების სასარგებლოდ პირველად გაზარდა სამ ბურთამდე 19:16. მიადევნეთ თვალი შემდგომში ანგარიშის დინამიკას და თავად დარწმუნდებით მატჩის დაძაბულობაში: 19:17, 20:17, 20:18, 20:19, 20:20. ამ დროს გააძევეს ბოყოჩაძე და მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ წუთშესვენება აიღო: განახლდა თამაში და კალანდაძემ უმალვე დააწინაურა ჩვენები 21:20, შემდეგ: 22:20, 23:20, 23:21, 24:21, 24:22. რჩებოდა სამი წუთი: 24:23, 25:23. რჩებოდა წუთნახევარი: 26:23, 27:3. ამ ბოლო წუთნახევარში ისე, მოჩანდა თითქოს ლატვიელები ბედს შეურიგდნენ.

მამუკა გიორგაძე

***რა სიტუაციაა ჩემპიონატში და რისი იმედი უნდა გვქონდეს, საბოლოოდ რით დამთავრდება ევროპის ჩემპიონატში ჩვენი მეოთხე გაბრძოლება?***

***გთავაზობთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ თევზაძის კომენტარს.***

დამთავრდა ვაჟ ხელბურთელთა 2000 წლის ეროვნული ჩემპიონატის საკვა-

იხ. მე-3 გვ.

საქართველო
GEORGIA

## სეოკ-ის საიუბილეოდ!

# 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

*10 წლისთავი გვაშორებს იმ დღეს, როცა საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას. მათთვის, ვინც ამ საქმეს შეეჭიდა, იმთავითვე უმთავრესი ამოცანა იყო მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ინტეგრირება. თუმცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) შექმნიდან გაცილებით გვიან გამოცხადდა, ახლადშექმნილი სპორტული ორგანიზაცია, დამოუკიდებელი ქვეყნის ოლიმპიური ცხოვრების პრინციპებით მუშაობდა. ამიტომ იყო, რომ იგი წელგამართული, მომზადებული შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ავტორი, როგორც სეოკ-ის დაფუძნების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, შემდეგ კი სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, შეეცდება პირადი მოგონებების, შთაბეჭდილებებისა და ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიურად და სიზუსტით აღადგინოს ის განცდები და მოვლენები, რაც პირველი დღეებიდან ახლდა სეოკ-ის საქმიანობას — დაფუძნებიდან 10 წლის განმავლობაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს გაგებული არ იქნება, როგორც წინა პლანზე ავტორის პერსონის წამოწევის მცდელობა.*

## 1988-1989 წლები

სწორედ ამ წლებში დაიწყო სსრ კავშირის დაშლის პროცესების გააქტიურება — ზოგან — ფარულად, ზოგან — აშკარად. ბევრს ეგონა, რომ ახლოვდებოდა დასასრული, ბევრს კი სწამდა, რომ რეჟიმი ამ „თავგასულობას“ მალე ალაგმავდა. ასე იყო თუ ისე, რაც პოლიტიკაში ხდებოდა, საერთო შთაბეჭდილებით, სპორტს თითქოს არ ეხებოდა — ძველებურად „თავზე საყრელი“ იყო დაფინანსება, გრძელდებოდა სპორტული ბაზების მშენებლობა, სპორტსმენთა დაშვებული დოზით წახალისება. ახალ სიმაღლეებს იპყრობდა მეცნიერება — კვლევაძიება სპორტის სფეროში. მოკლედ, საბჭოთა სპორტული ინდუსტრია მთელი სიმძლავრით მუშაობდა და საქართველოც ერთ-ერთ წამყვან ფუნქციას უნაკლოდ ასრულებდა საერთო სისტემაში. საბჭოთა სპორტი ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ენერგიულად ემზადებოდა — ახლოვდებოდა 1988 წლის ოლიმპიური თამაშები.

1988 წლის სპორტული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ნამდვილად ჰქონდა სიამაყის უფლება. საზოგადოებრიობა მაინც კონკრეტული მიღწევებიდან აკეთებდა დასკვნებს. ხშირად გაიგონებდით: საბჭოთა ნაკრებში ერთეულები შეჰყავთ და მაინც ამდენი წარმატება გვაქვს, დამოუკიდებლად რომ გამოვიდეთ საერთაშორისო სარბიელზე, მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სპორტული ქვეყნების გვერდით ამოვჩნდებითო. იქნებ სწორედ ამ საერთო განწყობამ ათქმევინა პოეტ ზაურ ბოლქვაძეს საქართველოზე: „დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“. იმ წელს სეულში გამართული ოლიმპიური თამაშებიდან, შინ მედლით თორმეტი (ოქრო — 5, ვერცხლი — 2, ბრინჯაო — 5) ჩვენი სპორტსმენი დაბრუნდა. არადა, სულ მხოლოდ 16 გამოდიოდა საბჭოთა ნაკრებში. თამაშებში მონაწილე 159 ქვეყანას შორის საქართველო ყველაზე სპორტულ სახელმწიფოთა მწკრივში ამოჩნდა მოპოვებული მედლებით. საერთოდ კი, 1988 წელს, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები 484-ჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკზე: აქედან უმაღლეს საფეხურზე 230-ჯერ, მეორეზე — 135-ჯერ, მესამეზე — 119-ჯერ. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ ეს იქნებოდა ბოლო წელიწადი, როცა სპორტულმა ჟურნალისტებმა ტრადიციულ გამოკითხვაში „დიდი გაჭირვებით“ გამოარჩიეს წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი საუკეთესოთა შორის.

**1988 წელს** საბჭოთა სპორტი ნამდვილად განიცდიდა განსაკუთრებულ ალმავლობას. აშკარად უკეთ მიდიოდა საქმე საქართველოშიც, სადაც ჩვენი სპორტის მესაჭედ უკვე მუშაობდა უნარიანი ორგანიზატორი და შესანიშნავი პიროვნება, აწ განსვენებული ნუგზარ ენდელაძე.

ნუგზარ ენდელაძე პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან გადმოიყვანეს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. თავად ყოფილმა სპორტსმენმა და ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობაში გამობრძმედილმა წინამძღოლმა, შესანიშნავად უწყოდა სპორტის მნიშვნელობა ისეთი პატარა ერისა და ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ის თამამი და მომთხოვნი თავმჯდომარე იყო, წინდაუხედავად არაფერს მოიმოქმედებდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას განჭვრეტილი ჰქონდა, რა მოგველოდა ახლო წლებში. ბევრჯერ დავრჩენილვარ გაოცებული მისი სითამამით და გულახდილობით, როცა, როგორც რედაქტორს მირჩევდა, „ლელოსთვის“, ისედაც მუდამ ეროვნული სპორტული გაზეთისთვის, მეტი პატრიოტული დატვირთვა მიმეცა. იმ პერიოდში დაიწყო პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების დაფუძნების ლეგალიზაცია. მაშინ დაიბადა იდეა საქართველოში შეგვექმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და გავმიჯნოდით სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც ნამდვილად არ იყო დამოუკიდებელი არასახელმწიფო ორგანიზაცია და ფაქტობრივად საკავშირო სპორტკომიტეტის დანამატი გახლდათ. ცხადია, ეს ეწინააღმდეგებოდა ოლიმპიურ ქარტიას, რაც კარგად იცოდა მთელმა მსოფლიომ, მაგრამ ამ ზესპორტული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის გათიშვის შიშით, ვერავინ ერეოდა. დოკუმენტურად კი სსრ კავშირიდან ყველაფერი ისე იგზავნებოდა და ფიქსირდებოდა სოკ-ში, როგორც ამას ქარტია მოითხოვდა.

**სსრ კავშირის** ოლიმპიურ კომიტეტში მიხვდნენ, რომ სხვა დრო დგებოდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და, როგორც იტყვიან, ჩათრევას, ჩაყოლა ამჯობინეს. ალბათ ყველამ გაიოცა, როცა ამ ორგანიზაციამ სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა, რომ „საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის წესდება მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებებს“. ამ სიტყვებმა 1988 წლის 3 დეკემბერს, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმზე გაიჟღერა პირველად, საფუძვლად კი მოხსენიებული იყო საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სტრუქტურული სრულყოფა და მისი შემდგომი დემოკრატიზაცია. შემდეგ საგანგებო კომისიამ შეიმუშავა წესდების პროექტი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ დამტკიცდა კიდეც. იყო თუ არა ეს ნაბიჯი გულწრფელი? ცხადია, არანაირი ზეწოლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან დემოკრატიზაციის კურსის გატარებაზე, არ ყოფილა. საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის მესვეურებს მოსვენებას არ აძლევდა ქვეყანაში უკვე თავჩენილი მისწრაფება რესპუბლიკებს შეექმნათ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს და საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის ეოკ-მა მოკლე დროში მართლაც მიაგო პატივი ოლიმპიურ ქარტიას, თავის საქმიანობაში ოლიმპიური იდეალებისა და პრინციპების დამკვიდრებაზე კი ხმაურით საუბრობდა, პირველ ხანებში, ბალტიისპირელებისა და საქართველოს გარდა, კავშირის სხვა რესპუბლიკებს ამ ცვლილებისათვის არ მიუქცევიათ განსაკუთრებული ყურადღება. ისინი, უბრალოდ, მზად არ იყვნენ საამისოდ და, კარგა ხანს, არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები.

ერთი სიტყვით, საქართველოში, ჯერ კიდევ ფეხზე რიხიანად მდგარ საბჭოთა ქვეყანაში, ეოკ-ის შექმნა უტოპიად ჩანდა. და აი, მხარდაჭერა იქიდან წამოვიდა, საიდანაც ნამდვილად არავინ მოელოდა — სპორტის სახელმწიფო კომიტეტიდან. კომიტეტს ვამბობთ, მაგრამ მხედველობაში ორი პიროვნება გვყავს — მისი თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე და მოადგილე ჯანო ბაგრატიონი. მაშინდელი სპორტსახკომის სამმართველოს უფროსი ნარგიზა მესხი იგონებს: „1989 წლის პირველ ნახევარში ნუგზარ ენდელაძეს ეროვნული მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი ეწვია სპორტში საქართველოს სუვერენიტეტის საკითხში საკონსულტაციოდ. ენდელაძემ თავის მოადგილეს, ჯანო ბაგრატიონს სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისთვის მოსამზადებელი მუშაობის გაწევაც სთხოვა. გადაწყდა, ლატვიაში მიგვევლინა ჩვენი წარმომადგენელი, რადგან იქ უკვე აღდგენილი იყო ეოკ-ი. შევარჩიეთ კანდიდატურები — ჩვენი თანამშრომლები ვაჟა ნუცუბიძე და როლანდ ხომერიკი, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო, მათი რიგაში გამგზავრება ვერ მოხერხდა. შემდეგ არჩევანი მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელზე დავით კიწურაშვილზე შევაჩერეთ, რომელიც გაემგზავრა კიდეც ლატვიაში“.

— კარგია, რომ ჩვენში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის აზრი მწიფდება. იქნებ მოსამზადებელი სამუშაოები აქედანვე სერიოზულად დავიწყოთ. ითავეთ ეს საქმე ლელოელებმა, საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელიც თავად შეარჩიეთ, მე მხარში ამოგიდგებით, — მითხრა ნუგზარ ენდელაძემ, როცა ერთ დღეს რამდენიმე წუთით დამტოვა თავის კაბინეტში ერთი რიგითი თათბირის შემდეგ. რედაქციაში ამ საკითხზე იმავე დღეს ვესაუბრე ჟურნალ „მართვეს“ რედაქტორს და იმავდროულად „ლელოს“ თანამშრომელს ნოდარ გუგუშვილს. ამ შესანიშნავ ჟურნალისტს და პიროვნებას კარგად იცნობდა საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა და მკითხველთა მრავალრიცხოვანი არმია. თავისი წერილებით და წიგნებით ოლიმპიზმის ეს დაუღალავი პროპაგანდისტი, წამოწყებულ საქმეში ძირითად დასაყრდენად მიგვაჩნდა. ვთხოვე, რომ მას ეხელმძღვანელა საინიციატივო ჯგუფისთვის, მაგრამ მოკრძალებულად თქვა უარი. თუმცა თანადგომაზე ხალისით დაგვთანხმდა და სიცოცხლის ბოლომდე უდიდესი სამსახური გაუწია ჯერ სეოკ-ის შექმნას, შემდეგ მის მომძლავრებას და ავტორიტეტის ამაღლებას.

**მაშ** ასე, ჩვენ დავიწყეთ. საინიციატივო ჯგუფი შეუდგა მუშაობას, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო იმის გარანტია, რომ მიზანს უთუოდ მივაღწევდით და ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ეს მერე თანდათანობით გამოიკვეთა. თავდაპირველად, ცხადია, რაღაც კონკრეტული უნდა დაგვესახა მიზნად. ჯერ კიდევ ადრე იყო, მოუმზადებლად, პირდაპირ დაგვესვა დამოუკიდებელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საკითხი — სიტუაციის მომწიფებამდე ეს უაზრობა იქნებოდა. მაგრამ საბოლოო მიზნისა და ჩანაფიქრისთვის შესანიშნავ ფონს ქმნიდა პრინციპული მოთხოვნა სპორტში ეროვნული სუვერენიტეტის გაფართოების თაობაზე. საზოგადოებრივი აზრის შესამზადებლად პირველ ეტაპზე იმაზეც ვამახვილებდით ყურადღებას, რომ საბჭოთა კავშირი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია და რატომ არ შეიძლებოდა თითოეულს მონაწილეობა დამოუკიდებლად მიეღო ოლიმპიურ თამაშებში? საბოლოოდ, ნაადრევად წამოწყებული საქმისთვის, ეს მოტივი მომგებიანი გამოდგა. ვიშველიებდით საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლს, სადაც ჩაწერილი იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკას აქვს უფლება ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათ ხელშეკრულებანი, და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში“.

„ლელოში“, 1989 წლის 11 ივლისს, გამოქვეყნდა ცნობილი ჟურნალისტისა და ჩვენი საინიციატივო ჯგუფისა და საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი პირველი აქტიური წევრის პაატა ნაცვლიშვილის ვრცელი წერილი „საქართველოს ოლიმპიური პოტენცია“, სადაც ღრმად იყო გაანალიზებული ოლიმპიური მოძრაობის ისტორია და საქართველოს სპორტსმენთა წვლილი ამ მოძრაობაში. „საქართველოს ცალკე გუნდად გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებში სულაც არ იქნება მხოლოდ სიმბოლური ფაქტი“ — ასკვნიდა ავტორი.

რამდენად იყო გამართლებული ასეთი მოთხოვნა და არსებობდა თუ არა ამის პრეცენდენტი? პაატა ნაცვლიშვილს თავის წერილში არაერთი ანალოგი მოჰყავდა, როცა ქვეყანა (უნგრეთი, ნორვეგია, ავსტრალია, კუბა, ინდოეთი, კანადა, სამხრეთ აფრიკის კავშირი და ა.შ.) არ იყო პოლიტიკურად დამოუკიდებელი, მაგრამ ცალკე მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში, რაც არ ეწინააღმდეგებოდა ოლიმპიურ ქარტიას.

**თენგიზ ბაჩელაძე**

*(გაგრძელება იქნება)*



# გიორგი კანდელაკი მე-10 ბრძოლას ბათუმში გამართავს

გიორგი კანდელაკი IX სარეიტინგო ბრძოლას გამართავს 22 ივნისს, ინგლისში. მისი მეტოქე, ამჯერად ინგლისელი ზანგი იქნება.

ბოლო, მე-10 სარეიტინგო შეხვედრას კი გიორგი აგვისტოში, ბათუმში ჩაატარებს და ამით დასრულდება მისი სარეიტინგო ბრძოლების სერია. სექტემბერში კანდელაკი უკვე ტიტულისთვის იბრძოლებს. ეს ტიტული კი ვბა-ს ვერსიის ერთერთი სარტყელია, რომელსაც „ინტერკონტინენტალი“ ეწოდება. ამჯერად, „ინტერკონტინენტალის“ სარტყელის ბოლო მფლობელი, ვინმე ინგლისელი მოკრივე სხვა ტიტულისათვის იბრძვის და ეს ტიტული თავისუფალია.

თუ კანდელაკმა „ინტერკონტინენტალის“ ტიტული მოიგო, მაშინ ვბა-ს ვერსიით ის რეიტინგით მე-10 ადგილზე იქნება იმ სიაში, რომელსაც სათავეში ევანდერ ჰოლიფილდი უდგას. მართლაც მომხიბვლელი პერსპექტივაა, როცა ლეგენდარულ ჰოლიფილდს მხოლოდ რვა საფეხური გაშორებს.

თუ „ინტერკონტინენტალის“ ქამარი დაითრია, მაშინ კანდელაკს უფლება ეძლევა ვბა-ს ვერსიით ნებისმიერი ტიტულისათვის იბრძოლოს, თვით მსოფლიოს ჩემპიონობისთვისაც კი, რომელსაც ახლა ჰოლიფილდი ფლობს. გარდა ამისა, „ინტერკონტინენტალის“ ჩემპიონობის მოპოვებით კანდელაკი დაასრულებს სარეიტინგო ბრძოლებს და, ამასთან, აღარ დასჭირდება ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა. „ინტერკონტინენტალის“ ტიტული მას პირდაპირ, შემოკლებული გზით გარევს ელიტარულ კრივში.

*გიორგი კანდელაკის მეტოქე მე-8 სარეიტინგო ბრძოლაში შავკანიანი ფრანგი რამონ ფელიქსი იყო. შეხვედრა ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბელფასტში შედგა.*

*კანდელაკმა შეხვედრა ჩვეულ სტილში — შეტევებით დაიწყო. ფელიქსი ძლივს იცავდა თავს, იგი რინგის კიდეს აეკრა, კანდელაკმა ელვისებური დარტყმებით გააბრუა ფრანგი და, ალბათ, ძირსაც დასცემდა ნოკაუტით, მსაჯს I რაუნდის მეორე წუთზე რომ არ შეეჩერებინა შეხვედრა. რამონ ფელიქსი ნოკდაუნში იყო. ბრძოლის გაგრძელებას უთუოდ მისი ნოკაუტი მოჰყვებოდა, ამიტომ მსაჯმა აღარ გაწირა ფრანგი და პირველსავე რაუნდებში გიორგი კანდელაკმა ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება იზეიმა.*

**ლევან ჯავახიშვილი**

## სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები

# ირაკლი ბოჭორიძემ სპორტისათვის ამჯერადაც მოიცალა

როგორც ცნობილია, სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების აღდგენა (პირველი ასეთი ღონისძიება 1991 წელს ჩაატარა სეოკმა) ისევ ჩვენმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ითავა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად. მაგრამ ფინანსური ხელმოკლეობის გამო, თამაშების ფინალური ეტაპის აღდგენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ჩვენი რეგიონები თამაშების განახლებას ინტერესით გამოეხმაურნენ და ერთი ორგან სამხარეო ორგანიზაციებმა და პრეზიდენტის რწმუნებულებმა თავიანთი განკარგულებით გამოხატეს მხარდაჭერა.

ჩვენს ხელთაა შიდა ქართლის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ირაკლი ბოჭორიძის განკარგულება, რომელიც იწონებს თამაშების აღდგენას და ამტკიცებს ივნის-სექტემბერში მხარეში მისი ჩატარების გეგმას. გეგმა კი კომპლექსურია, უშუალოდ სპორტული ასპარეზობების გარდა, იგი ითვალისწინებს სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, „სპორტული სოფლის“ გამოსავლენად კონკურსს — დათვალიერების ჩატარებას. საერთო ხელმძღვანელობისათვის კი შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რაც მთავარია, განკარგულება ითვალისწინებს ფინანსურ მხარდაჭერას. თამაშების პირველი ეტაპი მოიცავს შიდა საქალაქო და რაიონულ შეჯიბრებებს, მასობრივ ასპარეზობებს სოფლის გუნდებსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის. ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები ჯერ სამხარეო თამაშებში ასპარეზობენ, შემდეგ სრულიად საქართველოს სპორტულ თამაშებში გააგრძელებენ ასპარეზობას მხარის ნაკრები გუნდები სპორტის სახეობების მიხედვით. ოღონდ, მთავარია, ჩატარდეს ფინალური შეჯიბრებები.

სეოკ-ის შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაცია და სპორტის სამხარეო სამმართველო აქტიურად ემზადება რეგიონში თამაშების მაღალ და ორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად.

**ლელა შანშიაშვილი**

# ზუგდიდში „მხიარული სტარტების“ სიკეთე გაიხსენეს

## როცა განათლების სამინისტრო სკოლებს უკეთესს ვერაფერს სთავაზობს



„მხიარული სტარტები“ — მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის ეს განუყოფელი მასობრივი ასპარეზობა, ზუგდიდელებმა კვლავ გაიხსენეს. გაიხსენეს იმიტომ, რომ განათლების სამინისტრომ უკეთესი ვერაფერი მოიგონა და შესთავაზა სკოლებს. ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის გიმნაზიაში ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობს გამოცდილი სპეციალისტი რეზო ბულია და ეს მისი ინიციატივით და გიმნაზიის დირექტორის მედეა ქარდავას მხარდაჭერით გაცოცხლდა ოდინდელი მჩქეფარე სპორტული ცხოვრება სასწავლებელში. აქ სპორტული დარბაზიც თავისი ძალებით შეაკეთეს.

გიმნაზიაში, ფიზიკური აღზრდის პროგრამაში, დომინირებს მოსწავლეთა ინტერესებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების შესაბამისად გათვალისწინებული ღონისძიებები, შემუშავებული საშეჯიბრო სისტემა კი მთელ სასწავლო წელს მოიცავს. მოზარდების ინტერესის ამაღლების მიზნით, ამ ღონისძიებების საფუძველი „მხიარული სტარტებია“. თამაშდება გარდამავალი თასი კლასებს შორის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სასწავლო წლის ბოლოს გამართული ფინალური შეჯიბრებები. ეს ღონისძიება ერთხანს ექსპერიმენტული იყო, ახლა კი, დირექტორის ბრძანებით იგი ტრადიციული გახდა.

**ო. შამათავა, ზუგდიდი**

# დავმარცხდით, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო გუნდი...

UEFA EURO 2000 The Low Countries

ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ციკლი II ჯგუფი

## ნორვეგია – საქართველო 1-0

*ნორვეგია:* ოლსენი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ჰეგემი, პედერსენი, ივერსენი (დალუმი, 84), მიუკლანდი, ლეონარდსენი (რუდი, 46), ფლო, სოლბაკენი, რისეტი (რეკდალი, 71).
*საქართველო:* გვარამაძე, დიდავა (ფოფხაძე, 46), წერეთელი, კალაძე, გუჩუა (ჭიჭვეიშვილი, 63), ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ყაველაშვილი, დემეტრაძე (აშვეთია, 76).
*გოლი:* ივერსენი (4).
*გააფრთხილეს:* კალაძე, ყაველაშვილი, პედერსენი.
*მსაჯი:* ლ. ჰიუგი (ბელგია).

იოჰან ბოსკამპს, როგორც საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცს, სადებიუტოდ ნამეტანმა ძნელმა გამოცდამ მოუწია. ჩვენ არ გვყავს ისეთი და იმდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი, რამდენიც ნორვეგიელებს, ხოლო ვინც გვაბადია, ბევრი მათგანი ამ მატჩში სხვადასხვა მიზეზის გამო არ მონაწილეობდა (არველაძე, გ. ქინქლაძე, ჯანაშია, გახოკიძე). ბოსკამპი თავის ნორვეგიელ კოლეგა ნილს იოჰან სემბთან მეტად უთანასწორო ბრძოლაში ჩაება და დამარცხდა კიდეც.

ფეხბურთში ყველაფერს ვარსკვლავები წყვეტენ – ითქვა ერთხელ და ახლაც ბევრი ებღაუჭება ამ ფრაზას. მაგრამ სხვაც ხომ თქმულა, სხვანაირადაც ხომ შეუხედავთ ფეხბურთისათვის. მწვრთნელი, უპირველეს ყოვლისა! აი ეს სიტყვები კი ბევრს არ უყვარს, ბევრს ალიზიანებს, არადა, მისი ემფაზურობა სათანადოდ ვიწვნიეთ, სათანადოდ დროულად ვერ გავითავისეთ და ისედაც მძიმე ვითარება სავალალოდ ვაქციეთ. ჩვენ, მაღალი კლასის შემსრულებელთა საოცრად ღარიბ, მაგრამ საფეხბურთო ქვეყანას, ისღა დაგვრჩენია, რომ უფრო მეორე საფეხბურთო თეზისს ჩავებღაუჭოთ ანუ მწვრთნელს.

მძიმე მემკვიდრეობა მიღებულმა ბოსკამპმა ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ყველაზე უფრო მისაღები, სწორი პოლიტიკის განხორციელებას მიჰყო ხელი. ოსლოში ჩატარებული მატჩი სხვა არაფერია თუ არა ბოსკამპის ღონიერი ხელის დამჩნევა საქართველოს ეროვნულ გუნდზე. დიახაც, ღონიერი ხელის, რადგან მან გუნდის გამთლიანებაზე, გამონოლითურობაზე გააკეთა აქცენტი და გათვლა, რაც პირველი მატჩის კვალობაზე გამოუვიდა კიდეც. გულზე მალამოდ გვედება, რომ ბოსკამპი ველოსიპედის გამოგონებას ხელახლა არ ცდილობს, ფსევდო რეფორმებისაგან ხელს იღებს და არ ბრექიაობს.

ვალტერ გუჩუა – ცალკე საუბრის თემა. ვლადიმერ გუცაევის მიერ ჯერ ახალგაზრდულიდან, მერე კი ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთილი ეს შეუპოვარი მებრძოლი, ბოსკამპის დებიუტის მართლაცდა ნათელ წერტილად შეიქნა. იოჰანმა, როგორც იქნა, მიაგნო ტიპიურად ისეთ ფეხბურთელს, რომელიც ასე სჭირდებოდა ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. აი, ფლოს ნეიტრალიზება კი ვერაფრით მოხერხდა. ხან კილაძე, ხან წერეთელი, ხან დიდავა, ხან ჭიჭვეიშვილი, მაგრამ ვერა, ვერ დაოკდა და შეჩერდა ასვეტილი ფორვარდი.

ეს ტოტენჰემელი ივერსენი ხომ მთლად გადაგვეკიდა ქართველებს, გუჩუას შეცვლის შემდეგ გაილაღა მიუკლანდმაც... თუმც, სკანდინაველთა ჩამოთვლას რა აზრი აქვს, მათ ერთად, კოლექტიურად მოგვიგეს, პირწმინდად გვაჯობეს. მაგრამ ქულის წამოღება ოსლოდან მაინც შეგვეძლო – ამის შანსიც გვქონდა და შნოც.

ლიდერი! კარგია, როცა გუნდს ასეთი კაცი ჰყავს. მაგრამ წელიწადია, რაც საქართველოს ნაკრებს ლიდერი რაა, წამყვანი მოთამაშეების გამოკვეთილი ჯგუფიც არ გააჩნდა. ახლა ამას საქართველოს ეროვნული გუნდის ადრინდელი ლიდერი თემურ ქეცბაია ლამობდა. გავბედავ და ვიტყვი, რომ თემურმა თავი გაართვა კიდეც უმძიმეს მისიას. ოლსენს კარში მხოლოდ ორჯერ დავურტყით და ორჯერვე ეს ქეცბაიამ შეძლო. თემურის ასაკი ფეხბურთისთვის ჯერჯერობით კრიტიკული არ არის და მისგან რომ კვლავაც ძველებურად წარმატებულ თამაშს ელის ბოსკამპიც, თანაგუნდელებიც და გულშემატკივრებიც, ეს ცხადზე უცხადესია.

გაცილებით მეტს ველოდით სხვა ფეხბურთელებისგან, განსაკუთრებით კი ჯამარაულისგან. ასეა თუ ისე, მორიგი მარცხი ვიწვნიეთ, მორიგი სამი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ოსლოში, ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებთან დამარცხდა გუნდი, ჭეშმარიტი გუნდი, რომელსაც, როგორც იქნა, კვლავ გაუჩნდა პრეტენზია და საფუძველიც ერქვას... გუნდი!

**დათო თავართქილაძე**

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| ლატვია | 5 | 2 | 2 | 1 | 4-2 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| საქართველო | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |

## ნორვეგია (ახალგაზრდული ნაკრები) – საქართველო (ახალგაზრდული ნაკრები) 0-0

*ნორვეგია:* სკულდესტადი, პიოლანდი, სტეენი, კიპე, სომა, ლანგე, ანდერსენი (ოფანგი, 85), აასი, ბაკე, მორკი, კარუ (სუნდგოტი, 65).
*საქართველო:* ლომაია, ქემოკლიძე, ხიზანეიშვილი, აბრამაძე, სახვაძე, შენგელია, შაშიაშვილი, კვარაცხელია, გველესიანი, წიტაიშვილი, მელქაძე.
*გააფრთხილეს:* სახვაძე, ქემოკლიძე, ანდერსენი.
*მსაჯი:* ს. დუგლასი (შოტლანდია).

(პირველი გვერდიდან)

ლიფიკაციო ეტაპი. საკვალიფიკაციო ეტაპზე შვიდ ჯგუფში მონაწილეობა მიიღო ევროპის 26 ქვეყანამ. 7 ჯგუფის გამარჯვებულმა და 5 ოთხგუნდიანი გუნდების ჯგუფებიდან მეორე ადგილზე გასული 4 გუნდი, ე.ი. სულ 11 გუნდი გავიდა შემდეგ შესარჩევ ეტაპზე. ეს გუნდებია: პოლონეთი, იტალია, სლოვენია, ავსტრია, თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი, ირლანდია, ბელორუსია, პორტუგალია, საქართველო.

14 ივნისს კაიროში მჩ-ის ფინალის წინა დღეს ევროპის ხელბურთის ფედერაცია მოაწყობს კენჭისყრას შესარჩევ ეტაპზე გასული გუნდების და იმ ევროპის 9 ქვეყანას შორის, რომლებიც მონაწილეობენ 1999 წლის მჩ-მდე. ეს გუნდებია: რუსეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, მაკედონია, ნორვეგია, უნგრეთი, დანია, გერმანია. ამ 10 წყვილიდან გამარჯვებულები ფინალურ ეტაპზე მიიღებენ მონაწილეობას 2000 წლის იანვარში ხორვატიაში, სადაც მათ დაემატება მასპინძელთა ნაკრები და 1998 წლის ევროპის ჩემპიონი შვედეთი.

დღეს, 1 ივნისს, ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში იწყება მე-16 მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟ ხელბურთელთა შორის. გახსნის ცერემონიალი ჩატარდება კაიროს სპორტული კომპლექსის მთავარ დარბაზში, რომლის ტევადობაა 30.000 მაყურებელი და შედგება გახსნის მატჩი მასპინძელ გუნდსა და ბრაზილიის ნაკრებს შორის. წინასწარი მატჩები ჯგუფებში გაიმართება 2-7 ივნისს, შემდეგ მერვედფინალები, მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი შედგება 15 ივნისს.

## ქართველების მეოთხე ცდა...



**ჯგუფი «A» – ტუნისი:** არგენტინა; დანია; მაროკო; ესპანეთი; ალჟირი.

**ჯგუფი «B» – ეგვიპტე:** ბრაზილია; მაკედონია; გერმანია; კუბა; საუდის არაბეთი.

**ჯგუფი «C» – ხორვატია:** კუვეიტი; უნგრეთი; ნიგერია; რუსეთი; ნორვეგია.

**ჯგუფი «D» – იუგოსლავია:** ჩინეთი; შვედეთი; კორეა; საფრანგეთი; ავსტრალია.

### წინა 15 მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნები და პრიზიორები:

| წელი | მასპინძ. ქვეყანა | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| 1938 | გერმანია | გერმანია | ავსტრია | შვედეთი |
| 1954 | შვედეთი | შვედეთი | გერმანია | ჩეხოსლოვაკია |
| 1958 | გდრ | შვედეთი | ჩეხოსლოვაკია | გერმანია |
| 1961 | გფრ | რუმინეთი | ჩეხოსლოვაკია | შვედეთი |
| 1964 | ჩეხოსლოვაკია | რუმინეთი | შვედეთი | ჩეხოსლოვაკია |
| 1967 | შვედეთი | ჩეხოსლოვაკია | დანია | რუმინეთი |
| 1970 | საფრანგეთი | რუმინეთი | გდრ | იუგოსლავია |
| 1974 | გდრ | რუმინეთი | გდრ | იუგოსლავია |
| 1978 | დანია | გფრ | სსრკ | გდრ |
| 1982 | გფრ | სსრკ | იუგოსლავია | პოლონეთი |
| 1986 | შვეიცარია | იუგოსლავია | უნგრეთი | გდრ |
| 1990 | ჩეხოსლოვაკია | შვედეთი | სსრკ | რუმინეთი |
| 1993 | შვედეთი | რუსეთი | საფრანგეთი | შვედეთი |
| 1995 | ისლანდია | საფრანგეთი | ხორვატია | შვედეთი |
| 1997 | იაპონია | რუსეთი | შვედეთი | საფრანგეთი |


# ახალი მიმართულება

# თბილისი-ტრაპზონი

ყოველ კვირას გაფრენა თბილისიდან 22.55 სთ-ზე.



# ტრაპზონი - თბილისი

ყოველ ორშაბათს გაფრენა ტრაპზონიდან 09.35 სთ-ზე.

სხვა რეისები:
ათენი, სალონიკი, თელავივი, მოსკოვი, კიევი,
სანქტ-პეტერბურგი, ვოლგოგრადი, როსტოვი, სოჭი, თეირანი.

**GEORGIAN AIRLINES**
საქართველოს ავიახაზები

**ბილეთების დაჯავშნა და შეძენა შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:**

მეტეხი
შერატონ მეტეხი პალას–ოტელი
ტ. 941268

ინტერსერვისი
ლესელიძის ქ.6
ტ. 936814, 996381

ეარ ჯორჯია
რუსთაველის 48
ტ. 294053

ინტერტური
თამარ მეფის 9
ტ. 942641. 942446

გალაქსი სიტი
კოსტავას 47
ტ. 920920. 920930

ბერიკა
კოსტავას 14
ტ. 932829. 982283

არგო-ტური
ბაზალეთის 8
ტ. 292779, 292706
მარჯანიშვილის 5
ტ. 952634, 953985
ქეთევან წამებულის 7
ტ. 999042

ლევონ თრეველი
ჭავჭავაძის 20
ტ. 250010, 250060

მეგა ტური
ალმაშენებლის 61
ტ. 942999, 942113

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფფ-ს სამზარეულოში

# ბადრი ქარქაშაძის გუნდი

*პოპულარული ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს რომ იწვევს, სულაც არ არის გასაკვირი. ასეთად ჩვენში მუდამ ითვლებოდა და ითვლება ფეხბურთის ფედერაცია. საერთოდ, ნებისმიერი ინფორმაცია მით უფრო ფასობს, რაც უფრო „სიღრმიდანაა ამოღებული" გნებავთ? კი ბატონო ინებეთ, სფფ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ ინფორმაციის მოპოვებაზე სრული თავისუფლება გამოაცხადა და ახლა ჟურნალისტებს ყველაფერზე მიუწვდებათ ხელი. მეტიც, თუ შენ არ მიაკითხავ, იქით გიგზავნიან „ახალი ამბების დასტას". ჩვენ კი თქვენთან ერთად მკითხველო, მოდით, სფფ-ს ერთი კომიტეტის „სამზარეულო" მოვათვალიეროთ.*

ყველაზე ხშირად სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტთან გვიწევს ჟურნალისტებს ურთიერთობა. ეს თავისებური შტაბია, სადაც თავს იყრის ყველა საინტერესო ინფორმაცია, აქ იგეგმება შეჯიბრებები, ეს შტაბი ხელმძღვანელობს საქართველოს ჩემპიონატს, სადაც უამრავი ორგანიზაციული საკითხია გადასაწყვეტი მთელი სეზონის განმავლობაში, აანალიზებენ ტურის თითოეული მატჩის ნიუანსებს, მსჯელობენ, კამათობენ — ერთი, რომ თავის პოზიციას იცავს, მეორე — გარეშე თვალით და გონებით ოპონენტობს და ასეთ ვითარებაში ძნელად თუ გამორჩებათ თუნდაც რაიმე წვრილმანი მხედველობიდან.

არაერთხელ შევსწრებივართ ასეთ სიტუაციას: ეს-ესაა სამუშაო დღე დაიწყო, ვილაც გუშინ გამართულ კალენდარულ მატჩზე მივლინებიდან დაბრუნდა, ვილაც რაიონიდან ჩამოვიდა საკითხების შესათანხმებლად თუ საკონსულტაციოდ, ვილაც დილიდანვე სატელეფონო კავშირით ცდილობს მოაგვაროს რაღაც პრობლემა ან პასუხი მიიღოს დასმულ შეკითხვაზე, კომიტეტის ყველა თანამშრომელი ადგილზეა, უპასუხოდ არავინ რჩება.

ყველაზე საინტერესო კი ცხელ კვალზე, გუშინდელი მატჩების განხილვაა. სრულყოფილად და უნაკლოდ ვერანაირი დებულება ვერ ამოწურავს და ვერ გაითვალისწინებს სიტუაციას ან სიტუაციებს, რამაც შეიძლება თავი იჩინოს პრაქტიკაში. აი განსაკუთრებით ასეთ სიტუაციებზე არიან გაფაციცებულები საშეჯიბრო კომიტეტში. ზოგჯერ დავა-კამათი დიდხანს გრძელდება, მერე დადინჯდებიან და იტყვიან: „აბა კიდევ ერთხელ გავიაზროთ" და გაიაზრებენ, რათა სამომავლოდ, როცა ჩემპიონატის ახალ დებულებას წარადგენენ დასამტკიცებლად, კითხვის ნიშნები არ დარჩეს, მთავარი მაინც ისაა რომ ყოველი ახალი დებულება უფრო სრულყოფილი და დახვეწილი იყოს. იგივე ითქმის საქართველოს ჩემპიონატის მატჩების კალენდარზე.

რამდენადაც ვიცით, კომიტეტში უკვე მომავალი ჩემპიონატის დებულებაზე მუშაობენ. ზოგჯერ სამუშაო დღე პირდაპირ ამ თემით იწყება. არა, საგანგებოდ არ სხდებიან და ოფიციალურ თათბირს არ ატარებენ, არც ოქმი იწერება. ამის დრო ალბათ მერე დადგება. უბრალოდ, შემოვა ერთი თანამშრომელი და „სიტყვას ჩამოაგდებს". ეტყობა ვეღარ ითმენს, წუხელ ალბათ ბევრს ფიქრობდა და რაღაც ისეთს ჩაავლო, ღირს საკამათოდ. და იწყება განსჯა, რომლის დროს ხშირად გაიგონებთ ისეთ ფრაზებს, რომლებიც მათვე აიძულებს უფრო ჩაუღრმავდნენ საკითხს, ზოგჯერ ეჭვების მთელი წყება იჩენს თავს და როცა ამოწურულად ჩათვლიან, საბოლოოდ ერთხელ მაინც იტყვიან: „ნუთუ კიდევ დარჩა რაიმე ხვრელი?"

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ჭკვიანს უსარგებლია დებულებაში გაპარული ლაფსუსით ან რაღაც ფორმულირება თავის სასარგებლოდ გამოუყენებია? — გვინდა ვკითხოთ საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცს, ცნობილ სპეციალისტს და შესანიშნავ პიროვნებას ბადრი ქარქაშაძეს, მაგრამ თავს ვიკავებთ. მათ ამ წერილის მომზადების შესახებ არ გვინდოდა სცოდნოდათ, ახლა კი, მკითხველთან ერთად, მოულოდნელად წააწყდებიან გაზეთში ამ სტრიქონებს. თუმცა, განა არ ვიცით, რას გვიპასუხებდა? ცხადია, იტყოდა, რომ პრაქტიკაში ყველაფერი ხდება, მაგალითებსაც მოიტანდა, შეიძლება კურიოზულსაც და დასძენდა, რომ ამდენს იმიტომ ვბჭობთ და ვკამათობთ, იმ ვილაც ყველაზე ჭკვიანმაც უკირკიტოს, უკირკიტოს და ხელჩასაჭიდს ვერაფერს წააწყდეს დებულებაში.

... ასეთია ჟურნალისტის შთაბეჭდილება. ისღა დაგვრჩენია მკითხველს წარვუდგინოთ ბადრი ქარქაშაძის გუნდი — საშეჯიბრო კომიტეტის თანამშრომლები. სფფ-ს ბიულეტენში „ქართული ფეხბურთი" (№2) სფფ-ს აღმასკომის №3 დადგენილებაში ვკითხულობთ: რომ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს გია ფირცხალავას ევალება უხელმძღვანელოს პირველ ჯგუფს; ინსპექტორმა ნოდარ კაკულიამ მეორე ჯგუფში დასავლეთის „ა" და „ბ" ქვეჯგუფებს; მალხაზ ლაცაბიძეს მეორე ჯგუფში აღმოსავლეთის „ა" და „ბ" ქვეჯგუფებს; ინსპექტორ მერაბ იაშვილს სტადიონებზე უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საორგანიზაციო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.

ასეთია ზოგადი შთაბეჭდილება, რომელიც სფფ-ს ერთ კომიტეტში რამდენიმე დღის სტუმრობის შემდეგ დაგვრჩა...

თ. თომაშვილი

## პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

### V ტურის შედეგები

ფალავანი — ვაკე-1 3-4
ვაკე 75 — ვერა 2-1
მეტეხი — 7 დღე 1-0
მაესტრო — თემქა 6-5
დიდუბე — პლატო-99 10-2
მთაწმინდა — მილანიავლაბარი 6-5
სარბიელი — დრონი 1-7
სპორტ.საქართველო — სონიკი 9-2
მეტროპოლიტენი — დიღომი 2-2
კავკასიონი — ლიდერი 3-1

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტეხი | 5 | 5 | 0 | 0 | 18-5 | 15 |
| 2. მაესტრო | 5 | 5 | 0 | 0 | 22-13 | 15 |
| 3. დრონი | 5 | 4 | 1 | 0 | 18-3 | 13 |
| 4. მთაწმინდა | 5 | 4 | 0 | 1 | 31-8 | 12 |
| 5. დიღომი | 5 | 3 | 2 | 0 | 18-9 | 11 |
| 6. ფალავანი | 5 | 3 | 1 | 1 | 19-8 | 10 |
| 7. სპორ.საქარ. | 5 | 3 | 1 | 1 | 20-10 | 10 |
| 8. ვაკე-1 | 5 | 3 | 0 | 2 | 22-8 | 9 |
| 9. მილანი-ავლაბ. | 5 | 3 | 0 | 2 | 22-19 | 9 |
| 10. ვერა | 5 | 2 | 0 | 3 | 20-12 | 6 |
| 11. 7 დღე | 5 | 2 | 0 | 3 | 10-17 | 6 |
| 12. სარბიელი | 5 | 2 | 0 | 3 | 15-24 | 6 |
| 13. კავკასიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 11-20 | 6 |
| 14. დიდუბე | 5 | 2 | 0 | 3 | 15-32 | 6 |
| 15. მეტროპოლ. | 5 | 1 | 1 | 3 | 10-14 | 4 |
| 16. ლიდერი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-16 | 3 |
| 17. ვაკე-75 | 5 | 1 | 0 | 4 | 10-19 | 3 |
| 18. პლატო-99 | 5 | 1 | 0 | 4 | 12-31 | 3 |
| 19. თემქა | 5 | 0 | 0 | 5 | 12-24 | 0 |
| 20. სონიკი | 5 | 0 | 0 | 5 | 8-29 | 0 |

### ფეხბურთიდან – დიპლომატიაში



გერმანიაში შედგა ლეგენდარული იურგენ კლინსმანის გამოსათხოვარი მატჩი, რომელიც გამართა „შტუტგარტის" კლუბმა, ვინაიდან ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა ფინანსური პრობლემების გამო ეს ვერ შეძლო. გერმანიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, მსოფლიო — 98-ის ჩემპიონმა, რომელსაც ნაკრებში ჩატარებული აქვს 108 მატჩი, შეკრიბა თავისი გუნდი, რომელმაც დაამარცხა „შტუტგარტის" ვარსკვლავები — 8-6. 34 წლის ვეტერანმა თავის გაცილებაზე 500 საპატიო სტუმარი მიიწვია. გამოაცხადეს, რომ გფრ-ს ფეხბურთის ხელმძღვანელობამ კლინსმანი დანიშნა სპეციალურ ელჩად, რომელსაც დაევალა გამოიყენოს თავისი მაღალი ავტორიტეტი, რათა გერმანიამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს რომ უმასპინძლოს.

### ბომბარდირები:

1. კოკა რუსაძე (მთაწმინდა) — 19
2. რამაზ დვალიშვილი (მილანი-ავლაბარი) — 15
3. ლექსო მარგიანი (მეტეხი) — 8
4. ჯამბულ ხასაია (დიდუბე) — 7
5. ემზარ ბედინეიშვილი (ფალავანი) — 7
6. დათო კუჭავა (ვერა) — 7

### VI ტური

*5 ივნისი. შაბათი*

13.00 მთაწმინდა — დრონი
14.00 სარბიელი — სონიკი
15.00 სპორტ.საქართ. — ლიდერი
16.00 ვაკე-1 — დიღომი
17.00 მეტროპოლიტენი — კავკასიონი

*6 ივნისი. კვირა*

11.00 ფალავანი — ვერა
12.00 ვაკე-75 — 7 დღე
13.00 მეტეხი — თემქა
14.00 მაესტრო — პლატო-99
15.00 დიდუბე — მილანი-ავლაბარი

(პირველი გვერდიდან)

სთან, ცსკასთან და მოსკოვის დინამოსთან შეხვედრებში. ე.ი. იმ გუნდებთან, რომლებთანაც შეხვედრებში გამარჯვებამ გადაწყვიტა „სპარტაკის" ჩემპიონობის საკითხი.

„ტორპედოში" აღიზარდა და დაოსტატდა მთელი პლეადა სახელოვანი სპორტსმენებისა, რომლებსაც არაერთხელ დაუცავთ ჩვენი ქვეყნის I, II, ოლიმპიური, ახალგაზრდული, თუ იუნიორთა ნაკრები გუნდების სპორტული ღირსება, სხვადასხვა დროს აღნიშნული გუნდების წევრები იყვნენ: რ. ურუშაძე, გ. ცხოვრებოვი, ს. კუტივაძე, ძმები გ. და ლ. ნოდიები, რ. ძოძუაშვილი, ჯ. ხერხაძე, შ. ოქროპირაშვილი, ს. შვეცოვი, რ. შენგელია, თ. კოსტავა, რ. სირაძე, მ. ასიტაშვილი, ბ. ფარულავა, რ. ბურკაძე, ა. კვერნაძე, თ. სულაქველიძე, ო. გაბელია და სხვები.

ქუთაისი ის უშრეტი წყარო იყო, რომელიც ათეული წლების სანძილზე ახალგაზრდა ტალანტებით ამარაგებდა ქართული ფეხბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს". ჯერ კიდევ ომის წინა და შემდგომ წლებში ქუთაისელი ფეხბურთელები გ. ბერძენიშვილი, მ. ჭელიძე, უ. სალდაძე, ნ. ხერხაძე, შ. ვაჩაძე, შ. გერაძე, ი. სარჯველაძე და სხვები წარმატებით იცავდნენ თბილისის „დინამოს" სპორტულ ღირსებას. 50-იან წლებიდან ქუთაისიდან თბილისის დინამოში გადავიდნენ ჯ. რუსაძე და გ. ჯავახაძე, ხოლო 60-იან წლებში ქუთაისში აღზრდილი და დაოსტატებული ფეხბურთელები რ. ურუშაძე, გ. ცხოვრებოვი, ი. დათუნაშვილი, ლ. ჟორდანია, ზ. ებრალიძე, ს. კუტივაძე, ძმები გ. და ლ. ნოდიები, რ. ძოძუაშვილი და სხვები წლების მანძილზე თბილისის „დინამოს" ავანგარდში იდგნენ.

მართალია ზოგიერთი მათგანი არ იყო ქუთაისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, მაგრამ რაც მთავარია ისინი წლების მანძილზე „ტორპედოში" დაოსტატდნენ, ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას და ქუთაისში ჩამოყალიბდნენ, როგორც მაღალი კლასის ფეხბურთელები. დღეს როდესაც სიამოვნებით ვიგონებთ ქუთაისის „ტორპედოს" სახელოვან წარსულს, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნოთ იმ ცალკეულ ფეხბურთელების შესახებ, რომლებმაც თავიანთი ნიჭის და ტალანტის წყალობით, დიდი შრომის და გარჯის ფასად ნათელი კვალი დაამჩნიეს ქართული ფეხბურთის მდიდარ ისტორიას.

# ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ტორპედოელები საფეხბურთო მოედანზე, მათ არასოდეს დაავიწყდებათ გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი ჯ. ხაჟალია. მართლაც და ეს თვითმყოფადი ფეხბურთელი, რომელსაც ბუნებისაგან მომადლებული ჰქონდა დიდი ნიჭი, მუდამ საშიშ მდგომარეობაში აყენებდა მოწინააღმდეგეებს. თავის დროზე რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში არაერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი ჯ. ხაჟალიას შესახებ ტყავის ბურთის ცნობილ ოსტატებს. ქუთაისელთა ცენტრფორვარდმა სამართლიანად დაიმსახურა „მეკარის რისხვის" სახელი. ამის შესახებ თავის დროზე წერდნენ კარის ცნობილი მცველები ვ. ბანიკოვი, ა. კავაზაშვილი, ი. პშენიჩნიკოვი და სხვები. წერდნენ ისეთ დროს, როდესაც ისინი სსრ კავშირის ნაკრების წევრები იყვნენ. როცა მათ ეკითხებოდნენ თუ ვინ იყო მათთვის, ქვეყნის შიგნით ყველაზე სახიფათო ფორვარდი, ერთხმად ჯ. ხაჟალიას ასახელებდნენ.

ფეხბურთის ვეტერან გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ თუ „ტორპედოს" მცველებს როგორ საიმედოდ ჰყავდათ ჩაკეტილი ისეთი სახიფათო გარემარბები, როგორებიც იყვნენ ვ. ხმელნიცკი, ს. სერგეევი, გ. ჰუსაინოვი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი, ა. ბანიშევსკი და მრავალი სხვა. ტორპედოელთა მარცხენა მცველი გ. ცხოვრებოვი მაღალი ოსტატობით და თამაშის დიდი დიაპოზონით მუდამ იმსახურებდა მაყურებელთა სიმპათიებს. მუდამ დაუღალავი და ენერგიული ნ. სარჯველაძე თანაბრად ასრულებდა როგორც მცველის, ასევე ნახევარმცველის ფუნქციებს და გუნდის შეტევების ნამდვილი ორგანიზატორი იყო. ავადმყოფობის გამო ადრე უღალატა მშობლიურ გუნდს გ. ნიშნიანიძემ. ელეგანტური ფეხბურთელი გუნდის გაჭირვების ტალკვესი იყო. წლების მანძილზე გუნდში გამოკვეთილი ფიგურა იყო მარჯვენა მცველი ი. ლოსაბერიძე. მაღალი სათამაშო ტექნიკა, სისწრაფე და ატლეტური აგებულება საიმედოს ხდიდა გუნდის მარჯვენა მცველის თამაშს.

წლების მანძილზე წარმატებით იცავდნენ „ტორპედოს" სპორტულ ღირსებას: ა. ავალიანი, ვ. ჩხარტიშვილი, მ. ასიტაშვილი, ჯ. ხერხაძე, დ. ვეკუა, რ. სირაძე, ა. წვერავა, ა. ერქომაიშვილი, რ. კვასხვაძე, ზ. ებრალიძე და მრავალი სხვა.

ქუთაისში ათეული წლების მანძილზე ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდის და დაოსტატებას თავდადებით ემსახურებოდა მთელი პლეადა სახელოვანი მწვრთნელებისა, რომლებმაც ნათელი კვალი დატოვეს ქართული სპორტის ისტორიაში.



დაბრუნება უმაღლეს ლიგაში...

ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში თავისებური ფიგურა იყო მრავალმხრივი სპორტსმენი, ხელოვანი, ბრწყინვალე მწვრთნელი და ფეხბურთელი გ. კილაძე, რომელიც ქუთაისის სპორტული ცხოვრების ეტალონად დარჩა. ამ უნიკალურ ფეხბურთელს, ა. ჟორდანიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, „როცა უნდოდა, გოლს მაშინ გაიტანდა" გ. კილაძემ არაერთი სახელოვანი ფეხბურთელი აღზარდა ქუთაისში, რომელთა შორის აღსანიშნავია უ. სალდაძე, მ. ჭელიძე, მ. გერაძე, კ. ხურციძე და მრავალი სხვა.

1937-38 წლებში ქუთაისის „მკერავის" ფეხბურთელთა გუნდს წვრთნიდა ამ საქმის დიდი ენთუზიასტი ს. ალიმონაკი.

ქუთაისში ნორჩი ფეხბურთელების აღზრდასა და დაოსტატებაში დიდი ამაგი მიუძღვის ამაგდარ მწვრთნელებს დ. ასათიანს, დ. გიგიძეს, ბ. ჩირაძეს, კ. აბდალაძეს, ვ. ერქომაიშვილს, დ. აბუთიძეს, ვ. ზაუტაშვილს, გ. ფირცხალავას, ბ. ჩიგოვაძეს, დ. თოდაძეს, ს. ქობალიას, გ. მიქაუტაძეს, ო. ჯორბენაძეს, მ. ლოსაბერიძეს, ახობაძეს, ზ. თოდაძეს და მრავალ სხვას.

ფასდაუდებელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კ. ხურციძის როლი და ამაგი ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატების გ. და ლ. ნოდიების, ს. კუტივაძის, ჯ. ხერხაძის, რ. შენგელიას, თ. სულაქველიძის, თ. კოსტავას, ზ. სვანაძის, ა. კვერნაძის, ვ. შენგელიას და სხვათა აღზრდაში.

წლების მანძილზე რესპუბლიკის და საკავშირო სარბიელზე კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ფეხბურთის ცნობილი მსაჯები პ. ჯაფარიძე, კ. გვარამაძე, ს. ალიმონაკი და სხვები. ხოლო საკავშირო კატეგორიის მსაჯებს ა. კაჭკაჭიშვილს და თოდაძეს არაერთხელ უმსაჯიათ და საკმაოდ კვალიფიკაციურადაც უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრები.

რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯებს ს. კეკელიას, კ. ხურციძეს, ვ. ბზიკაძეს, დ. აბუთიძეს, ა. აფრიდონიძეს, მ. ლოსაბერიძეს, გ. მიქაუტაძეს, მაღლაფერიძეს და სხვებს კარგად იცნობდნენ რესპუბლიკის საფეხბურთო წრეებში.

90-იან წლებში, როცა ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო ერთ-ერთი პირველი სიტყვა ქართულმა ფეხბურთმა თქვა, რომელმაც სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა 1990 წლის 15 თებერვალს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულმა რესპუბლიკის ფეხბურთის დამფუძნებელმა ყრილობამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ერთხმად მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის წესდება. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისინი, ვისაც ხელეწიფება ქართული ფეხბურთის მომავლის პერსპექტივები.

ფეხბურთის პრეზიდენტად სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი დამტკიცდა.

ყრილობამ აგრეთვე დაამტკიცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება, რესპუბლიკის ფეხბურთის პრეზიდიუმმა შეიმუშავა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულება.

1990 წლის 30 მარტს ქალაქ თბილისში, ხოლო 31 მარტს ქალაქ ქუთაისში და კიდევ ჩვენი რესპუბლიკის 7 ქალაქში სტარტი აიღო დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა.

ქუთაისის საფეხბურთო ცხოვრების განვლილი 90 წელი დღეს უკვე ისტორიის საკუთრებაა. ქალაქში აღზრდილი და დაოსტატებული სახელოვანი ფეხბურთელების დიდი აღიარება იმ უდიდესი ძალისხმევის, თანადგომის, ბრძოლის და შრომის ნაყოფია, რასაც წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა რიონისპირა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში. ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში ლომის წილი თითოეულ საფეხბურთო გუნდს მიუძღვის. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ისტორიამ მხოლოდ გუნდის სახელით შემოგვინახა და მათი შემადგენლობაც კი უცნობია, ჩვენს ხელთ არსებული მასალების წყალობით მხოლოდ ქალაქში მოქმედი 30-ამდე გუნდის ისტორია დავადგინეთ.

რიონისპირა ქალაქი წელს ზეიმით აღნიშნავს ქუთაისის საფეხბურთო ცხოვრების 90-წლიან იუბილეს.

**საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

● ამ ჩემპიონატის *მიღწევაა* თბილისის „დინამოს" ზედიზედ მე-10 გამარჯვება.

● ჩემპიონატის *მოვლენებიდან* აღსანიშნავია:

1. „ოდიში" – „სიონის" მატჩს სჯიდა პირველ ნახევარში ა. კრიჭაშვილი, მეორეში – პ. დოგრაშვილი.

2. „გურია" – „გორდას" მატჩში თამაშის დაწყებიდან, „გურია" 9 ფეხბურთელით თამაშობდა.

3. ამ ჩემპიონატში ორმა ფეხბურთელმა, დ. ჯანაშიამ („ტორპედო") და დ. მახარაძემ („გურია") 100-100 გოლი გაიტანეს თავისი კარიერის მანძილზე.

● ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა თბილისის „არსენალის" ფეხბურთელმა ა. კაკაშვილმა.

● ჩემპიონატში მასპინძლებმა გაიმარჯვეს 112 შეხვედრაში, რაც შეადგენს ჩატარებული მატჩების 47%. ფრედ დამთავრდა 54 მატჩი (22%), ხოლო 73 შეხვედრაში (31%) სტუმრებმა გაიმარჯვეს.

● სულ გატანილია 675 ბურთი. საშუალოდ ერთ მატჩში 2,8 ბურთი.

● მასპინძლებმა გაიტანეს 407 ბურთი, რაც შეადგენს გატანილი გოლების 62%, სტუმრებმა – 268 ბურთი (38%).

● პირველ ნახევარში გავიდა 278 ბურთი (42%), მეორეში – 397 ბურთი (58%).

● გატანილი გოლები მოდის 182 ფეხბურთელის ანგარიშზე. აქედან 14 ფეხბურთელმა ბურთები გაიტანეს 2 გუნდის შემადგენლობაში.

● ჩემპიონატში დაფიქსირდა 7 „ავტოგოლი". ავტორები არიან: ლურსმანაშვილი – „იბერია", თ. ჯაფარიძე – თსუ; ვაშაკიძე – „დინამო" თბ.; მაჩიტაძე და ლ. ჩხაიძე – „გურია"; ე. ჯაფარიძე და სვანიძე – „სიონი".

● **ბომბარდირები:**

მ. აშვეთია („დინამო" თბ) – 26 ბურთი

დ. მახარაძე („გურია") – 21,

ლ. ხომერიკი (დინამო" ბთ) – 18,

ზ. იონანიძე („ტორპედო") – 16,

პ. წივწივაძე („ლოკომოტივი") – 15

დ. ჯანაშია („ტორპედო") – 14

გ. მეგრელაძე („ტორპედო") – 13

ე. გვასალია („კოლხეთი-1913") – 13

რ. ალექსიძე („დინამო" თბ) – 13.

● თავიანთ გუნდებში ბომბარდირები არიან:

მ. აშვეთია – 26 გოლი („დინამო" თბ)

ზ. იონანიძე – 16 („ტორპედო")

დ. გოდერძიშვილი – 9 („ლოკომოტივი")

ე. გვასალია – 13 („კოლხეთი-1913")

პ. მაჭუტაძე – 11, ლ. ხომერიკი – 10 (ორივე – „დინამო" ბთ)

გ. ქორიძე – 7 („ვიტ-ჯორჯია")

ვ. გიგიაძე – 9 („იბერია")

ბ. ამბიძე – 8 („მერანი")

ზ. ზირაქიშვილი – 11 („არსენალი")

ა. კაიდარაშვილი – 9 („დილა")

თ. ფაიქიძე – 6 („სამგურალი")

ლ. ალადაშვილი – 5 („გორდა")

ბ. მოსეშვილი – 8 („სიონი")

კ. წიტაიშვილი, თ. კობიაშვილი, დ. გოგოლაძე – 4-4 (თსუ)

ზ. ენდელაძე – 6 („ოდიში")

დ. მახარაძე – 21 („გურია").

● X ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 494 ფეხბურთელმა. აქედან 52 ითამაშა ორი გუნდის შემადგენლობაში.

● ყველა მატჩი შეუცვლელად ითამაშა თ. სიჭინავამ („დინამო" ბთ.), ხოლო შეცვლით ითამაშეს: კალანდაძემ („კოლხეთი-1913") და ს. გიგიაძემ („იბერია").

● ყველაზე ნაკლები ფეხბურთელით ითამაშეს: „დინამო" ბათუმმა და „მერანი-91"-მა – 27-27; „დილამ" – 29. ყველაზე მეტით – „ოდიშმა", თსუ-მ, და „სამგურალმა" – 40-40, „გურიამ" – 39; „გორდამ" – 38; „სიონმა" და „დინამო" თბ – 37-37.

● ჩემპიონატში დაფიქსირდა 53 *დიდი* ანგარიშით მოგება: „დინამო" თბ – 12; „ტორპედო" – 8; „კოლხეთი-1913" – 6; „დინამო" ბთ, „ლოკომოტივი", „ვიტ-ჯორჯია" – 4-4; „სიონი", „იბერია", „არსენალი", „დილა" და თსუ – 2-2; „გორდა" – 1.

„სამგურალს", „ოდიშსა" და „გურიას" არც ერთ შეხვედრაში დიდი ანგარიშით არ მოუგიათ.



## ხობელები ექვსწლიანი შესვენების შემდეგ...

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. II ჯგუფი. გადასასვლელი მატჩი

*კოლხეთი (ხობი) – სულორი (ვანი) 1-0. გოლი: ხურცილავა (69).*

გაიმართა პლეი-ოფის მატჩი ხობის „კოლხეთსა" და ვანის „სულორს" შორის. მოგებული გუნდი პირდაპირ უძლიერესთა რიგებში ხვდებოდა, ხოლო დამარცხებული კი, მართალია, შანსს იტოვებდა, მაგრამ მეტად სახლაფორთო სიტუაციაში vardeboda. ასე რომ, „ლოკომოტივის" სტადიონზე ხობელებსაც და ვანელებსაც გულშემატკივართა საკმაოდ ხალხმრავალი არმია ჩამოჰყვათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. კოლხელთა მცირე უპირატესობა კი მაინც იგრძნობოდა. მათ შორის არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 18 წლის ბიჭი, რომელიც ამ ასაკის ნაკრების წევრია. ეს გახლავთ ლევან გვაზავა, რომელმაც სამი-ოთხი თვის წინათ თვით კიევის „დინამოელთა" ყურადღებაც კი მიიპყრო. ვალერი ლობანოვსკიმ ჯერჯერობით თავი შეიკავა მისი შეძენისგან, თუმცა, თვალთახედვის არეში დაიტოვა. სწორედ ლევანი გახლდათ ყველა შეტევის სულისჩამდგმელი და გოლიც მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა. 69-ე წუთზე მან დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ვეტერანი ფეხბურთელი კალისტრატე ხურცილავა, რომელმაც ძლიერი დარტყმით აიღო ვანელთა კარი, ხოლო „კოლხებს" I ჯგუფის საგზური არგუნა. ჩვენც ვულოცავთ ხობელებს და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებთ.

„სულორის" თავკაცი დავით ფაიქიძე კი ნირწამხდარი ტოვებდა მინდორს. არცაა გასაკვირი, რადგან მთელი სეზონის ნაჯაფი შეიძლება წყალში ჩაიყაროს. ახლა ვანელები „დინამო-2"-სა და „ლარწყალს" შორის წაგებულს დაუპირისპირდებიან. წარმატების შემთხვევაში კი – თსუ – „სიონს" შორის დამარცხებულს. ასე რომ, „სულორს" ორი მატჩის მოგება სჭირდება, რათა კიდევ ერთხელ შეაღოს I ჯგუფის კარი.

**ილია ნანობაშვილი**

● **ჩემპიონატში დაფიქსირდა:**

2 „პოკერი", ორივეს ავტორია ლ. ხომერიკი – „დინამო" ბთ;

11 „ჰეთ-თრიკი": ცქიტიშვილი, ალექსიძე, აშვეთია (ყველა – „დინამო" თბ), სუხიაშვილი, გვასალია (ორივე – „კოლხეთი-1913"), ჯანაშია („ტორპედო"), ტუღუში („დინამო" ბთ), მაზიაშვილი („ვიტ-ჯორჯია"), მახარაძე („გურია"), გოგოხია („ოდიში"), ტარიელაშვილი („არსენალი").

73 „დუბლი": მ. აშვეთია („დინამო" თბ) – 7, დ. მახარაძე („გურია") – 5; პ. წივწივაძე („კოლხეთი" + „ლოკომოტივი") – 4; ლ. ხომერიკი („დინამო" თბ + „დინამო" ბთ); ზ. იონანიძე („ტორპედო"), ა. კაიდარაშვილი („დილა), რ. ალექსიძე („დინამო" თბ), ლ. გოჩაშვილი („ვიტ-ჯორჯია") – თითოეულმა 3-3-ჯერ; ბ. ამბიძე („მერანი-91", პ. მაჭუტაძე („დინამო" ბთ), ჯ. ჩუხუა („გორდა" + „მერანი-91"), გ. შენგელია („დინამო" თბ + „სამგურალი"), ე. გვასალია („კოლხეთი-1913"), დ. გოდერძიშვილი („ლოკომოტივი"). თითოეულმა – 2-2-ჯერ.

თითო-თითო: დ. მუჯირი („დინამო" თბ. + „ლოკომოტივი"); გ. შავგულიძე („კოლხეთი-1913"); ზ. ღაღანიძე („კოლხეთი-1913"); ლ. ქებაძე („ტორპედო" + „დინამო" თბ.); თ. ტუღუში („დინამო" ბთ. + „დინამო" თბ); იმედაძე, გ. მეგრელაძე და დ. ჯანაშია (ყველა – „ტორპედო"); თ. გადელია („დინამო" ბთ); ჯ. მარეხაშვილი და რ. ახალკაცი (ორივე – „დილა"); გ. ღუდუშაური, ვ. კილასონია და ა. გოგობერიშვილი (ყველა – „ლოკომოტივი"); ლ. ნოზაძე, გ. გვაზავა, გ. ქორიძე და ა. ბოკერია (ყველა – „ვიტ-ჯორჯია"); ვ. განევი („გურია"); ა. შაკიაშვილი, ჯ. ჯაგიდისი და ბ. მოსეშვილი (ყველა – „სიონი"); შ. ჩომახიძე, ს. გიგიაძე და ხუჭუა (ყველა – „იბერია"); ზ. ზირაქიშვილი და ა. კაკაშვილი („ორივე – „არსენალი"); ს. დავითაშვილი („მერანი-91"), დ. გოგოლაძე (თსუ); მ. მელაძე („გურია" + „გორდა").

● *სტუმრად* ყველაზე მეტი *ქულა* აიღეს: „დინამო" თბილისმა – 36; „ტორპედომ" და „ლოკომოტივმა" – 29-29; „ვიტ-ჯორჯიამ" – 23; „მერანი-91"-მა და „არსენალმა" – 19-19; „დინამო" ბათუმმა და „კოლხეთი-1913"-მა – 18-18; „იბერიამ" – 16; „სამგურალმა" – 14; „დილამ" და თსუ-მ – 12-12; „გორდამ" – 11; „სიონმა და „ოდიშმა" – 7-7; „გურიამ" – 3.

● ლანჩხუთის „გურია" ერთადერთი გუნდია, რომელსაც არც ერთი თამაში არ მოუგია სტუმრად.

● *სტუმრად* ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვს: „ტორპედოს" – 32; „დინამო" თბ-სს – 30; „ვიტ-ჯორჯიას" – 23; „ლოკომოტივს" და „მერანი-91"-ს – 22-22; „იბერიას" – 20; „კოლხეთი-1913"-ს – 19; „არსენალს" – 16; „სამგურალს" – 15; „დილას" და „გურიას" – 13-13; „დინამო" ბთ-ს – 11; „სიონს" – 10; თსუ-ს და „გორდას" – 9-9; „ოდიშს" – 7. ფეხბურთელებიდან: მ. აშვეთიას („დინამო" თბ) – 12 ბურთი; დ. ჯანაშიას („ტორპედო") და დ. მახარაძეს („გურია") – 8-8; ე. გვასალიას („კოლხეთი-1913") და დ. გოდერძიშვილს („ლოკომოტივი") – 7-7; ზ. ზირაქიშვილს („არსენალი") – 6.

● **ანგარიშები:**

ჩემპიონატში დაფიქსირდა 26 სხვადასხვა ანგარიში. ყველაზე პოპულარულია: 1-0 – 47-ჯერ; 0-0 – 31-ჯერ; 2-1 – 26-ჯერ; 2-0 – 23-ჯერ; 3-1 – 19-ჯერ; 1-1 – 17-ჯერ; 3-0 – 14-ჯერ; 4-0 – 10-ჯერ; 3-2 და 4-1 – 8-8-ჯერ; 4-2 და 5-1 – 6-6-ჯერ; 2-2 – 4-ჯერ; 7-1 – 3-ჯერ; 3-3, 5-0, 5-2, 6-0 და 6-1 – 2-2-ჯერ; 4-3, 5-3, 6-2, 7-2, 7-3, 8-1 და 9-0 – თითოჯერ.

**11-მეტრიანები:**

● ჩემპიონატში სულ დაინიშნა 73 თერთმეტმეტრიანი. მასპინძლებმა დაარტყეს 49, რაც შეადგენს დანიშნული „პენალტების" 67 %-ს. სტუმრებმა – 24 (33 %).

● 73 „პენალტიდან" რეალიზებულია 59 (81 %).

● ყველაზე მეტი „პენალტი" დაარტყეს: „გურიამ" – 9 (რეალიზებულია 6); „ლოკომოტივმა" – 8 (8); „იბერიამ" – 8 (7); „ტორპედომ" – 6 (5); „სამგურალმა" – 6 (4); „ვიტ-ჯორჯიამ" – 5 (4); „დინამო" ბთ – 5 (4); „ოდიშმა" – 4 (4); „თსუმ" – 4 (3); კოლხეთი – 1913" – 4 (2); „დინამო" თბ – 3 (3); „მერანი-91" – 3 (2); „არსენალმა" – 2 (2); „სიონმა" – 2 (2); „დილამ" – 2 (2); „გორდამ" – 2 (1).

● ყველაზე მეტად „პენალტით" დაისაჯნენ: „ოდიში – 10-ჯერ (გაუტანეს 6), „იბერია" – 8(6), „მერანი-91" – 7(7), „სამგურალი" – 7(6), დილა" – 6(4), „სიონი" – 5(5), „კოლხეთი-1913" – 5(4), „დინამო" ბთ – 4(4), „არსენალი" – 4(3), „ვიტ-ჯორჯია" – 4(3), „თსუ" – 3(3), „დინამო" თბ. – 3(2), „ტორპედო" – 3(2), „გორდა" – 2(2), „გურია" – 2(2).

● ***თბილისის „ლოკომოტივი" არის ერთადერთი გუნდი, რომლის კარშიც „პენალტი" არ დანიშნულა.***

● პენალტები გაიტანეს: დ. მახარაძემ („გურია") – 7-დან – 6, ზ. იონანიძემ („ტორპედო") – 5(5); ა. გოგობერიშვილმა („ლოკომოტივი") – 4(4); ზ. ენდელაძემ („ოდიში") – 4(4), თ. ტუღუშმა (დინამო „ბთ. „დინამო" თბ.) – 3(3), თ. ფაიქიძემ („სამგურალი") – 4(3); ხუჭუამ („იბერია") – 4(3).

● გამოუყენებელი იქნა 14 „პენალტი": 2-2 მოიგერიეს: გ. დოლიძემ („იბერია") და მ. ნაყოფიამ („ოდიში).

თითო-თითო: მდივანმა („დილა"), ილურიძემ („დილა"); გოგიამ („ოდიში"); ასლანიძემ („ტორპედო" - „სამგურალი"); ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია"); გვარამაძემ („დინამო" თბ.)

● გ. გაბისონიას („კოლხეთი-1913") და გ. მეგრელაძის („ტორპედო") დარტყმები *ძელს* მოხვდა.

გ. კილასონიამ („სამგურალი") და გ. გიორგაძემ („გურია" – „კოლხეთი-1913") ***კარს ააცილა.***

● **მეკარეები:**

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 44 მეკარემ. აქედან რვამ: (სოლოლაშვილმა, ბათიაშვილმა, ასლანიძემ, მამარდაშვილმა, სტურუამ, გუგუნავამ, ნიკურაძემ და ვარდანიძემ) მონაწილეობა მიიღეს 2-2 გუნდის შემადგენლობაში.

ყველაზე მეტი მეკარე ათამაშა „იბერიამ" – 5.

4-4 – „ტორპედომ", „გურიამ", „გორდამ", „თსუმ" და „სამგურალმა".

3-3 მეკარე ათამაშეს: „დინამო" თბილისმა, „კოლხეთი-1913"-მა, „ვიტ-ჯორჯიამ", „მერანი-91-მა, „სიონმა", „დილამ" და „არსენალმა".

2-2 მეკარით ითამაშეს: „დინამო" ბათუმმა, „ოდიშმა" და „ლოკომოტივმა".

● ჩემპიონატში ყველაზე მეტჯერ საკუთარი კარი „მშრალად" შეინახეს: დ. გვარამაძემ („დინამო" თბ) – 14-ჯერ; ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია") – 13-ჯერ; დ. ჯანელიძემ („ლოკომიტივი") – 12-ჯერ; გ. ლომაიამ („მერანი-91") – 11-ჯერ; თ. ჩლაიძემ („არსენალი") – 10-ჯერ; ნ. ტოგონიძემ („დინამო" ბთ) – 9-ჯერ; მ. გვასალიამ („კოლხეთი-1913"), გ. ჭანტურიამ („ტორპედო"), გ. გაბელიამ („თსუ") და დ. დოლაბერიძემ („ლოკომოტივი") – 7-7-ჯერ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოლაბერიძემ ჩატარებული 9 მატჩიდან 7-ში თავისი კარი „მშრალად" შეინახა.

***ყველაზე მეტი ბურთი გაუშვეს:***

მ. ნაყოფიამ („ოდიში") – 46 ბურთი; გ. გოგუამ („გურია") – 39; თ. ჩლაიძემ („არსენალი") – 35; გ. ნიკურაძემ („გურია" – „თსუ") – 34; ნ. დალაქიშვილმა („სიონი") – 28; რ. სოლოლაშვილმა („დინამო „თბ" - „დილა") – 26; ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია") – 25; გოგიამ („ოდიში") – 24; ზ. ქვაჩახიამ („კოლხეთი-1913") – 23; მ. ქორიძემ („გორდა") – 22.

● იმ მეკარეებიდან, რომლებმაც ჩაატარეს შეხვედრების არანაკლებ 50%-ისა, ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვეს: დ. ჯანელიძემ („ლოკომოტივი") – 12 ბურთი ჩატარებულ 21 შეხვედრაში. საშუალოდ ერთ მატჩში 0,57 ბურთი. დ. გვარამაძემ („დინამო" თბ) – 15 ბურთი 25 მატჩში (0,60), გ. ჭანტურიამ („ტორპედო") – 14 ბურთი 19 მატჩში (0,73), მ. გვასალიამ („კოლხეთი-1913") – 11 ბურთი 15 მატჩში (0,77), ნ. ტოგონიძემ („დინამო" თბ) – 18 ბურთი 22 მატჩში (0,81), გ. ლომაიამ („მერანი-91") – 18 ბურთი 22 მატჩში (0,81), ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია") – 25 ბურთი 28 მატჩში (0,89), გ. დოლიძემ („იბერია") – 18 ბურთი 18 მატჩში (1,0).

● **მსაჯები:**

X ჩემპიონატს მოემსახურა 12 ქალაქის 22 მსაჯი. აქედან 9 თბილისელია, 2-2 – ქუთაისიდან და ზუგდიდან; თითო ქარელიდან, სურამიდან, გორიდან, ხონიდან, სამტრედიიდან, ონიდან, ლანჩხუთიდან, ცხინვალიდან და სოხუმიდან.

● ყველაზე მეტი მატჩი იმსაჯეს: თ. ლაცაბიძემ (სურამი) – 25; ს. კვარაცხელიამ (ზუგდიდი) – 23; გ. ასკაროღლიმ (ქარელი), ლ. ფანიაშვილმა (თბილისი) და ა. შილაკაძემ (თბილისი) – 22-22; ო. გუნთაძემ (ლანჩხუთი) – 19; ს. კახიანმა და მ. მალაღურაძემ (ორივე – თბილისი) – 16-16; ა. შალამბერიძემ (ქუთაისი) – 13; თ. ლორთქიფანიძემ, ა. კრიჭაშვილმა (ორივე – თბილისი) და პ. დოგრაშვილმა (ქუთაისი) – 10-10; ა. მეშკოვმა (თბილისი) – 8; თ. მაჭარაძემ (ხონი) – 6; ა. ორდენიძემ (ონი) – 5; ს. შალამბერიძემ (თბილისი) და დ. სანაიამ (სოხუმი) – 3-3; ვ. ელოევმა (ცხინვალი) – 2; ლ. რაზმაძემ (გორი), ე, სილაგავამ (თბილისი), ლ. მიქელაძემ (სამტრედია) და კ. მესხმა (ზუგდიდი) – თითო-თითო.

● ჩემპიონატში დანიშნული 73 თერთმეტმეტრიანებიდან მსაჯების ანგარიშზეა: გ. ასკარ-ოღლი – 10; ლ. ფანიაშვილი და ა. შილაკაძე – 8-8; მ. მალაღურაძე – 6; ს. კვარაცხელია, თ. ლორთქიფანიძე, პ. დოგრაშვილი და თ. ლაცაბიძე – 5-5; ა. მეშკოვი – 4; ა. შალამბერიძე და ო. გუნთაძე – 3-3; თ. მაჭარაძე, ა. კრიჭაშვილი და ა. ორდენიძე – 2-2; ს. კახიანი, ვ. ელოევი და სანაია; ლ. რაზმაძე და ე.სილაგავა – თითო.

● ჩემპიონატში გაძევებული იქნა 34 ფეხბურთელი. მსაჯებმა: ლ. ფანიაშვილმა გააძევა 5 ფეხბურთელი; ს. კვარაცხელიამ – 4; თ. ლორთქიფანიძემ, მ. მალაღურაძემ, თ. ლაცაბიძემ, ა. შალამბერიძემ, ა. შილაკაძემ და ა. კრიჭაშვილმა – 3-3; გ. ასკარ-ოღლიმ და პ. დოგრაშვილმა – 2-2; თ. მაჭარაძემ, ა. ორდენიძემ და ო. გუნთაძემ – თითო.

● *გაფრთხილების მხრივ* „ლიდერობენ": თ. ლაცაბიძე – 64 ყვითელი ბარათი, ლ. ფანიაშვილი – 63; ა. შილაკაძე – 56; გ. ასკარ-ოღლი და ს. კახიანი – 55-55. ს. კვარაცხელია – 45; ა. შალამბერიძე – 39; ო. გუნთაძე – 38; მ. მალაღურაძე – 37; თ. ლორთქიფანიძე – 30; ა. კრიჭაშვილი – 26; ა. მეშკოვი – 19; პ. დოგრაშვილი – 17; ა. ორდენიძე – 11, ს. შალამბერიძე – 9; დ. სანაია – 5; ვ. ელოევი და ლ. მიქელაძე – 4-4, ე. სილაგავა – 3; ლ. რაზმაძე – 1.

● **გაძევება. გაფრთხილება. დასჯა...**

● *გაძევება:* „დინამო" თბ – 5 (გუჩუა – 2, ტუღუში, მიქაძე, ვაშაკიძე); „სამგურალი" – 4 (ფაიქიძე, ბურნაძე, თევზაძე, პეტრიაშვილი), „დილა" – 3 (ციცქიშვილი, მაისურაძე, თაყაძე); „ოდიში" – 3 (ბარქაია, ღურწკაია, აფაქიძე); „სიონი" – 3 (გოდერძიშვილი 2. ვოლკოვი); „მერანი– 91" (ქორიძე, ხუციშვილი), „ლოკომოტივი" (გოგობერიშვილი, ბარნოვი), „გურია" (ბულუხია, ბოლქვაძე), „თსუ" (გაბელია, გვალია), „ვიტ-ჯორჯია" (მენთეშაშვილი, დვალიშვილი) – 2-2; „იბერია" (ფილიპაშვილი), „გორდა" (მიშველაძე) „არსენალი" (გველესიანი), „კოლხეთი-1913" (გოროზია), „დინამო" ბთ. (პაპიძე), „ტორპედო" (ჩხაბერიძე) თითო.

● *გაფრთხილება:* „სამგურალი" – 56; „ოდიში" – 52; „არსენალი" – 47; „მერანი-91" – 41; „ვიტ-ჯორჯია" და „იბერია" – 39-39; „კოლხეთი – 1913" – 35; „ტორპედო", „დინამო" თბ, „ლოკომოტივი", „სიონი", „დილა" – 34-34; „გურია" – 31; „თსუ" – 29; „გორდა" – 27; „დინამო" ბთ – 25.

● ***ყველაზე მეტჯერ დაისაჯნენ:***

ვ. გუჩუა („დინამო" თბ) – 2 გაძევება და 7 გაფრთხილება, კ. გოდერძიშვილი („სიონი") – 2 გაძევება და 4 გაფრთხილება, ლ. მიქაძე („დინამო" თბ.) – 1 გაძევება და 5 გაფრთხილება, ბარქაია („ოდიში" – „ვიტ-ჯორჯია") – 1 გაძევება და 5 გაფრთხილება, ფრანგიშვილი („სამგურალი") – 0 გაძევება და 8 გაფრთხილება, დავითნიძე („მერანი-91") – 0 გაძევება და 7 გაფრთხილება, მ. მელაძე („გურია – „გორდა") – 0 გაძევება და 7 გაფრთხილება.

● ყველაზე „უხეში" ტური იყო IV. სადაც 4 ფეხბურთელი გააძევეს და 32 გააფრთხილეს.

ყველაზე „უხეში" მატჩი იყო „დილა" – „კოლხეთი-1913", სადაც 1 ფეხბურთელი იქნა გაძევებული და 8 გაფრთხილებული.

**ვეფხვია ჯალაღონია,**

***აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## იწყება „ძაკერონის ეპოქა“?

არაერთი ბრწყინვალე დრო ახსოვს „მილანს“. ასე, მაგალითად, როგორც კი 1962 წელს ნერეო როკო კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდა, „მილანმა“ ერთი ხელის დაკვრით მოიპოვა სკუდეტო. 1987 წელს არიგო საკიმ, ჩაიბარა თუ არა გუნდი, მყისვე გაიმეორა როკოს მიღწევა, ხოლო 1992 წელს იგივე შეძლო ფაბიო კაპელომ. ბოლო წლებში კი, პირიქით, სახელოვანი კლუბი მარცხს მარცხზე განიცდიდა. ამაზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო: ვერც 1997-98, ვერც 1998-99 წლებში „მილანი“ ევროპულ ტურნირებში ვერ მოხვდა. დიახ, ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, სხვა უფრო ნაკლები პრესტიჟის ასპარეზობებშიც კი ვერ მოიპოვა თამაშის უფლება. კლუბი სულ დაბლა და დაბლა მიექანებოდა, საქმეს ვერ უშველეს და პირდაპირ გაკოტრდნენ კიდეც ისეთი სპეციალისტები, როგორიც ურუგვაელი ოსკარ ტაბარესი, არიგო საკი და ფაბიო კაპელო არიან.

ვის უნდა ეშველა ასეთ პირობებში „მილანისათვის“? ცდა ბედის მონახევრეაო და კლუბის მეპატრონემ, ტელემაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ, პარტია „ფორცა იტალიას“ ლიდერმა, თავის დროზე, როგორც პრემიერ-მინისტრი, მთელ ქვეყანას რომ „უვლიდა“, ამჯერად არც ისე დიდი სახელის მქონე ალბერტო ძაკერონი მიიწვია. რა თქმა უნდა, მაშინ არავითარი წინასწარი გარანტია არა ჰქონდა, მაგრამ ბერლუსკონიმ ყურადღება მიაქცია ერთ ამბავს: ძაკერონი მშვენივრად მუშაობდა პროვინციულ „უდინეზეში“. ამასთან, მწვრთნელი „მილანში“ ხელცარიელი არ მისულა: მან თან შესანიშნავი მცველი ჰელვეგი და დიდად შედეგიანი თავდამსხმელი ბირჰოფი წაიყვანა. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ იმის შესახებ, რომ გერმანელი ფეხბურთელი არ არის „ფეხით თამაშის“ მაინცდამაინც დიდი ოსტატი (ჩვენ შეგნებულად მივმართავთ ტავტოლოგიას), სამაგიეროდ, რომელი ინგლისელი შეედრება მას „თავით დარტყმაში“? ასე იყო „უდინეზეში“, იგივე გაგრძელდა „მილანშიც“ — გაჰქონდა და გაჰქონდა ბირჰოფს გოლები თავით, ასე გასინჯეთ, ზოგჯერ ფეხითაც კი...

ძაკერონისათვის პირველი ადგილისათვის ბრძოლა მიზნად არავის დაუსახავს. მას დავრდომილი გუნდი ფეხზე თანდათან უნდა დაეყენებინა და თუ შესაძლებლობა იქნებოდა, უეფას თასის საგზურსაც დაუფლებოდა. პირველი წრის შემდეგ ისე ეტყობოდა, რომ „მილანი“ ამას მოახერხებდა კიდეც. „სკუდეტოზე“ კვლავ არავინ ლაპარაკობდა. როცა იანვარში შევჩენკო მილანში ჩავიდა და ბერლუსკონისაც წარუდგინეს, არაოფიციალურად შედგა კიდევაც მოლაპარაკება უკრაინელი თავდამსხმელის ამ სახელოვან კლუბში გადასვლის შესახებ. ლაპარაკობდნენ კიდეც, როგორი იქნებოდა ბირჰოფ-შევჩენკოს დუეტი. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ჯერჯერობით კი მწვრთნელის მთავარი ამოცანა კლუბის მოღონიერება იყო. ამასობაში კი ერთმანეთს ჩემპიონობას ეცილებოდნენ „ლაციო“, „ფიორენტინა“ და „პარმა“. იტალიური პრესა ყოველდღე წერდა სვენ-გორან ერიქსონზე, „ლაციო“, რომ მართლაც ბრწყინვალე გუნდად აქცია, ჯოვანი ტრაპატონის დიდ ხელოვნებასა და მისი „ფიორენტინის“ მიღწევებზე შესანიშნავ ახალგაზრდა მწვრთნელ ალბერტო მალესანისა და მეტად ძლიერ „პარმაზე“.





ამასობაში მიმომხილველებმა იმასაც მიაქციეს ყურადღება, რომ „მილანის“ თამაში დღითი დღე უმჯობესდებოდა. გერმანელი მეკარე ლემანი, რომელიც „მილანს“ აშკარად არ გამოადგა, ჯერ ისევ მრავალნაცადმა როსიმ შეცვალა, მისი დისკვალიფიკაციის შემდეგ კი კარში ჩინებულად ჩადგა ახალგაზრდა აბიატი და ეტყობა, სამუდამოდ გადაუღობა როსის დაბრუნების გზა. ჩემპიონატის დამთავრებას რამდენიმე ტურიღა აკლდა, როცა „მილანი“ 6 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს. ბრძოლა პირველი ადგილისათვის უკიდურესად გამწვავდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ოთხ ადგილზე გასულ გუნდებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება ენიჭებოდათ.

მაინც რა დაემართათ დანარჩენ პრეტენდენტებს? „ლაციო“ ფინიშზე მეტისმეტად არათანაბრად თამაშობდა. ვინც ნახა რომაელთა უაღრესად უნიათო მოქმედება უკანასკნელ, მე-18 ადგილზე მყოფ უკვე „სერია B“-ში გასავარდნად განწირულ „ემპოლისთან“, შეეძლო ეფიქრა, რომ „ლაციო“ ჩემპიონი ვერ გახდებოდა. ამასთან, რომაელებს ბოლო ტურებში ძნელი შეხვედრებიც ჰქონდათ. „ფიორენტინას“ ხან ბატისტუტა აკლდა, ხან ედმუნდო, ხან მცველები ავადმყოფობდნენ, „სკუადრა ვიოლა“ ქულას ქულაზე ჰკარგავდა, და, ბოლოს იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ისე კი, რა თქმა უნდა, საერთო შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ტრაპატონიმ ფლორენციაში ნაყოფიერად იმუშავა. „პარმამ“ ბოლო შეხვედრები ასევე წარუმატებლად წარმართა, მაგრამ უეფას თასის მოპოვებით სეზონით მაინც კმაყოფილი დარჩა.

რაც შეეხება „მილანს“, მან პირდაპირ ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია — მოიგო ბოლო 7 შეხვედრა და საბოლოოდ ერთი ქულით გაასწრო „ლაციოს“. მოვუსმინოთ მწვრთნელ ძაკერონის:

— ძალიან მიმძიმდა უდინეს დატოვება. იქ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც სამოთხეში. მაგრამ რომელი მწვრთნელი იტყვის უარს, თუკი ამის საშუალება მიეცემა, „მილანში“ მუშაობაზე? მე პირველად დავრწმუნდი ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობაში მაშინ, 10 მაისს, „იუვენტუსს“ რომ მოვუგეთ.

ახლა „მილანი“ მართლაც ბრწყინვალედ არის დაკომპლექტებული. ახალგაზრდა მეკარე აბიატის ამ რამდენიმე თვის წინათ არავინ იცნობდა, ახლა კი... დაცვა ხშირად პირდაპირ შეუვალი იყო. ძალიან კარგად წარმართეს სეზონი (უკვე) ვეტერანმა მცველებმა კოსტაკურტამ და მალდინიმ. შუა ხაზზე შესანიშნავ ოსტატებთან ალბერტინისა და ბობანთან ერთად თავი გამოიჩინა ახალგაზრდა არგენტინელმა ნახევარმცველმა ანდრეს გულიელმინპიეტრომ, რომელსაც ასეთი ძნელად გამოსათქმელი გვარის გამო, უბრალოდ, გულის უწოდებენ. ხომ გახსოვთ მისი თამაში უკანასკნელ ტურში, „პერუჯასთან“ გადამწყვეტ მატჩში! ბირჰოფი „მილანშიც“ თავდასხმის ისეთივე ლიდერი იყო, როგორც „უდინეზეში“.

წამყვან გუნდებზე ჩვენ, ასე თუ ისე, ვილაპარაკეთ. რა თქმა უნდა, დიდი დამარცხება იგემა ტურინის „იუვენტუსმა“, სადაც ესოდენ მარცხიანად დასრულდა სახელოვან მწვრთნელ მარჩელო ლიპის კარიერა, ერთგვარი იმედები კი კარლო ანჩელოტის მოსვლის შემდეგ გამოჩნდა. სრული ფიასკო განიცადა მილანის „ინტერმა“, რომელიც მომავალში იმავე მარჩელო ლიპიმ უნდა იხსნას. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ ისეთი ცნობილი კლუბი, როგორიც იტალიის 1991 წლის ჩემპიონი გენუის „სამპდორიაა“ მეორე დივიზიონში (პირველად 1977 წლის შემდეგ) გადადის. უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება დაკარგეს აგრეთვე „სალერნიტანამ“, „ვიჩენცამ“ და „ემპოლიმ“, საკმაოდ ძლიერმა კლუბებმა. აი, სხვა ქვეყნების ჩემპიონატებში რომ ეთამაშათ...

სნაიპერთა შორის 22 გატანილი გოლით პირველი იყო ბრაზილიელი ამოროზო („უდინეზე“), მეორე — 21 გოლით არგენტინელი ბატისტუტა („ფიორენტინა“), 20 ბურთი გაიტანა ბირჰოფმა („მილანი“), 19 — დელვეკიომ („რომა“).

### ახლა კი გადავხედოთ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 34 | 20 | 10 | 4 | 59-34 | 70 |
| 2. ლაციო | 34 | 20 | 9 | 5 | 65-31 | 69 |
| 3. ფიორენტინა | 34 | 16 | 8 | 10 | 55-41 | 56 |
| 4. პარმა | 34 | 15 | 10 | 9 | 55-36 | 55 |
| 5. რომა | 34 | 15 | 9 | 10 | 69-49 | 54 |
| 6. იუვენტუსი | 34 | 15 | 9 | 10 | 42-36 | 54 |
| 7. უდინეზე | 34 | 16 | 6 | 12 | 52-52 | 54 |
| 8. ინტერი | 34 | 13 | 7 | 14 | 59-54 | 46 |
| 9. ბოლონია | 34 | 11 | 11 | 12 | 44-47 | 44 |
| 10. ბარი | 34 | 9 | 15 | 10 | 39-44 | 42 |
| 11. ვენეცია | 34 | 11 | 9 | 14 | 38-45 | 42 |
| 12. კალიარი | 34 | 11 | 8 | 15 | 49-50 | 41 |
| 13. პიაჩენცა | 34 | 11 | 8 | 15 | 48-49 | 41 |
| 14. პერუჯა | 34 | 11 | 6 | 17 | 43-61 | 39 |
| 15. სალერნიტანა | 34 | 10 | 8 | 16 | 37-51 | 38 |
| 16. სამპდორია | 34 | 9 | 10 | 15 | 38-55 | 37 |
| 17. ვიჩენცა | 34 | 8 | 9 | 17 | 27-47 | 33 |
| 18. ემპოლი | 34 | 4 | 10 | 20 | 26-63 | 20 |

*შენიშვნა: „ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა.*

ბიჭი ბამრეკელი

# „როლან გაროსი“ — კაფელნიკოვი ლიდერობას შეინარჩუნებს?



საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე — „როლან გაროსზე“ შეიძლება უცნაური რამ მოხდეს: ევგენი კაფელნიკოვმა, რომელმაც უკვე მეორე წრის შემდეგ დატოვა შეჯიბრება, მაინც შეინარჩუნოს (!) თავისი პირველი ადგილი მსოფლიო რეიტინგ-ლისტში. საქმე ის არის, რომ დამარცხდნენ აგრეთვე პიტ სამპრასი, რიხარდ კრაიჩეკი, პატრიკ რაფტერი და კარლოს მოა, რომლებსაც შეეძლოთ რუსი ჩოგბურთელის გადასწრება, მაგრამ... ახლა რჩება ერთადერთი ჩოგბურთელი, რომელსაც შეუძლია კაფელნიკოვის ადგილის დაკავება. ეს გახლავთ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, რომელმაც ერთხელ უკვე მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება „როლან გაროსზე“. ამასთან, ბრაზილიელი, რომელსაც აქამდე „რეიტინგ-ლისტში“ მხოლოდ მერვე მაჩვენებელი ჰქონდა, მეტად ძნელი ამოცანის წინაშე დგას. კაფელნიკოვის შესაცვლელად მან აუცილებლად უნდა დაიკავოს პირველი ადგილი, ყველა სხვა შემთხვევაში კუერტენი ვერაფერს გახდება. რაც არ უნდა წარმატებით ითამაშონ, კაფელნიკოვს ვერ გადაასწრებენ ვერც მარჩელო რიოსი და ვერც ანდრე აგასი, რომელიც პარიზელ გულშემატკივრებს შორის პოპულარობით სარგებლობს. კაფელნიკოვის შემდეგ მესამე წრიდან ასპარეზობას კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელი მარატ საფინიც გამოეთხოვა, რომელიც, სხვათა შორის, იმავე სლოვაკ დომენიკ ჰრბატისთან დამარცხდა.

თუ ვაჟთა ასპარეზობა თითქმის ყველა ფავორიტმა დატოვა, ქალთა შორის სულ სხვა მდგომარეობაა. აქ ბრძოლას განაგრძობენ როგორც მარტინა ჰინგისი და ლინდსეი დევენპორტი, ისე მონიკა სელეში და შტეფი გრაფი. შეჯიბრებას გამოაკლდნენ დები უილიამსები. სამი წრე გაიარა ანა კურნიკოვამ (რომელიც „რეიტინგ-ლისტში“ ახლა მე-19-ეა). მესამე წრეში მან მნიშვნელოვანი წარმატებაც მოიპოვა, როცა სძლია შვეიცარიელ პეტი შნაიდერს (მეცამეტე „რეიტინგ-ლისტში“), მაგრამ კვირას დამარცხდა შტეფი გრაფთან, რომელიც თანდათან იუმჯობესებს თავის საბრძოლო მზადყოფნას. საინტერესოა, რომ განთქმულ გერმანელ ჩოგბურთელს უკვე ხუთჯერ აქვს მოგებული „როლან გაროსი“ — 1987, 1988, 1993, 1995 და 1996 წლებში. მართალია, მიმომხილველები იმასაც აცხადებენ, რომ ეს უკვე ის შტეფი გრაფი აღარ არის. თვით ჩოგბურთელი და მისი გულშემატკივრები სხვანაირად ფიქრობენ. თავისი დებიუტის დროს „როლან გაროსზე“ შტეფი გრაფი მხოლოდ 17 წლისა და 11 თვის იყო, ახლა კი, ცხადია, შეჯიბრების ყველაზე უფრო ასაკოვანი და გამოცდილი მონაწილეა.

## ჭადრაკი

# შარშანდელი შედეგებისათვის

მკითხველს, რომელიც „ოსკარის“ მორიგი კონკურსის შედეგებს გაეცნობა, შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან (კასპაროვის დიდი ტრიუმფების შემდეგ) ზოგი რამ გაუკვირდეს. თუმცა, მეორე მხრივ, აქ გასაკვირი არაფერია — საჭადრაკო ჟურნალისტები ხომ მხოლოდ შარშანდელ შედეგებს ითვალისწინებდნენ.

ახლა კი ვნახოთ, ვინ რამდენი ხმა მიიღო. 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 3278 ბალი. 2. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — 2146. 3. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 1993. 4. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — 1865. 5. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — 1853. 6. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — 764. 7. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) — 736. 8. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 609. 9. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 510. 10. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 474.

სულ თავისი ვარიანტი სხვადასხვა ქვეყნის 271-მა ჟურნალისტმა გააგზავნა. აქედან 185-მა (მათ შორის „ლელოს“ წარმომადგენელმაც) პირველი ადგილი ანანდს მიაკუთვნა, რომელსაც შარშან ფანტასტიკური წარმატებები ჰქონდა ვეიკ-ან-ზეეში, ლინარესში, მადრიდსა, ტილბურგსა, ფრანკფურტსა, ვიარაბლედოსა და ჰაიფაში. 38-მა ჟურნალისტმა პირველი ადგილი მოროზევიჩს მიაკუთვნა, მხოლოდ 36-მა კასპაროვს.

წლეულს კი, როგორც ვხედავთ, საქმეები ცოტა სხვანაირად არის, რაც „ოსკარის“ ახალ მომავალი წლის კონკურსში აისახება.

## გარდაიცვალა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი

ამერიკაში 87 წლისა გარდაიცვალა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი მძლეოსნობაში ელიზაბეტ რობინსონი (შვარტცი). მას კიბო ჰქონდა და ალცგეიმერის ავადმყოფობამაც დარია ხელი.

1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშზე პირველად ჩატარდა ქალთა ასპარეზობა მძლეოსნობაში. რობინსონმა გაიმარჯვა 100 მეტრზე სპრინტში მსოფლიო რეკორდით 12,2. 1931 წლის ავიაკატასტროფას მისი კარიერისათვის ჯვარი უნდა დაესვა. ექიმები ამბობდნენ, რომ იგი არ გადარჩებოდა, შემდეგ კი ამტკიცებდნენ რომ ვერ გაივლიდა. მაგრამ იგი სპორტსაც დაუბრუნდა და 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე ოქროს მედალიც მოიპოვა 4X100 მ ესტაფეტაში.

### მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**1 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ასპარეზი (22.00), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“ (16.30), ინგლისის ჩემპიონატი (16.45), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.45), ბრაზილიის ჩემპიონატი (20.15), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.00), იტალიის ჩემპიონატი (23.00). ***НТВ плюс спорт.*** ბრძოლა წესების გარეშე (19.25). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (1.00, 13.00, 15.00, 21.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (14.00); ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (20.00), 2.00)

**2 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00); ***საქართველოს ხმა.*** სპორტული გადაცემა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის ჩემპიონატი (13.15), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.55). „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“. ფრანც ბეკენბაუერი (15.55), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.15), იტალიის ჩემპიონატი (16.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (22.10), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (1.25). ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები (19.25, 21.55), ***ESPN.*** კალათბურთი, ნბა (8.00, 14.30, 21.30); ფეხბურთი. „ფლუმინენსე“ — „ვასკო და გამა“, ბრაზილიიდან (12.00); კალათბურთი. ნბა (14.30, 21.30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩი (0.00); ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (12.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (14.00). ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (15.00, 23.00, 2.00).

**3 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (16.25), ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.00), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“. მათიას ზამერი (22.25), შოტლანდიის ჩემპიონატი (23.10), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.25); ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები (11.55, 13.15, 19.55, 21.55), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (8.00, 14.30), ფეხბურთი: „ვასკო და გამა“ — „ამერიკანო“, ბრაზილიიდან (11.30), ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეულის მიმოხილვა (20.00); ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ველორბოლა. იტალიის ტური (16.00, 19.00, 23.00, 4.00).

# ეროვნული ჩემპიონატები

### გერმანია. XXXIX, ბოლო ტური

ნიურნბერგი – ფრაიბურგი 1-2, აინტრახტი – კაიზერი 5-1, ბოხუმი – ჰანზა 2-3, ბაიერი – ბაიერნი 1-2, მიუნხენ 1860 – შალკე 4-5, გლადბახი – დორტმუნდი 0-2, შტუტგარტი – ვერდერი 1-0, დუისბურგი – კოლისბურგი 6-1, ჰერტა – ჰამბურგი 6-1.

*ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ:* ბაიერნი (78), ბაიერი (63), ჰერტა (63), დორტმუნდი (57).

*ბუნდესლიგა დატოვეს:* ნიურნბერგმა (37), ბოხუმმა (29), გლადბახმა (21).

*ბომბარდირი:* მიხაელ პრეეცი (ჰერტა) – 23 გოლი.

### საფრანგეთი. XXXIX, ბოლო ტური

პსჟ – ბორდო 2-3, ნანტი – ოლიმპიკი 0-1, ლიონი – სტრასბურგი 3-2, მონაკო – ლორიენი 1-0, ლანსი – ტულუზა 3-1, ოსერი – რენი 2-0, მეცი – ჰავრი 1-0, მონპელიე – ბასტია 3-0, სოშო – ნანსი 1-1.

*ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ:* ბორდო (72), ოლიმპიკი (71), ლიონი (63).

*პირველი დივიზიონი დატოვეს:* ლორიენმა (35), სოშომ (33), ტულუზამ (29).

*ბომბარდირი:* სილვენ თილტორდი (ბორდო) 22 გოლი.

### ესპანეთი. XXXIX ტური

ბილბაო – ბარსელონა 1-3, ვალენსია – ოვიედო 3-0, ბეტისი – ვალიადოლიდი 2-0, სელტა – ტენერიფე 2-0, ესპანიოლი – ალავესი 3-0, ესტრემადურა – ატლეტიკო 2-1, რეალი – მალიორკა 2-1, რასინგი – დეპორტივო 1-1, სალამანკა – სოსიედადი 0-1, სარაგოსა – ვილიარეალი 4-0.

*ლიდერობენ:* ბარსელონა (76), რეალი (65), სელტა (64), მალიორკა (63).

*ბომბარდირები:* რაული (რეალი), რივალდო (ბარსელონა) – 23; კლაუდიო ლოპესი (ვალენსია) – 20.

### რუსეთი. IX ტური

ტორპედო – სპარტაკი 0-0, როსტსელმაში – ცსკა 1-3, დინამო – კრილია 3-3, როტორი – ჩერნომორეცი 5-2, ლოკომოტივი (65) – ზენიტი 1-0. სატურნი – შინიკი 0-0, ჟემჩუჟინა – ურალანი 0-0, ლოკომოტივი (მ) – ალანია 4-1.

*ლიდერობენ:* სპარტაკი (29), ლოკომოტივი (მ) (20), ცსკა (18).

*ბომბარდირები:* ტიხონოვი (სპარტაკი) – 7; ვერეტენიკოვი (როტორი), სემაკი (ცსკა) – 6.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



### ყველა ბილეთი უნდა გაიყიდოს!

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ულტიმატუმი წაუყენეს ამსტერდამის ულტრათანამედროვე სტადიონ „არენას“ ადმინისტრაციას. საქმე ის არის, რომ ამ სტადიონზე 50 ათასი დასაჯდომი ადგილია, აქედან 6 ათასი სტადიონის ობლიგაციების პატრონებს ეკუთვნით. მათ არ უნდათ ეს პრივილეგიები ევროპის ჩემპიონატის დროსაც დაკარგონ, რაც ჩემპიონატის ორგანიზატორებს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნიათ. თუ სტადიონის ადმინისტრაცია ამაზე არ წავა და ამ 6 ათას ბილეთსაც არ გაყიდის, მაშინ „არენას“ ევროპის ჩემპიონატის მთელი 5 მატჩის გამართვის უფლება ჩამოერთმევა მათ არნემისა და ეინდჰოვენის სტადიონებზე გადაიტანენ. მართალია, ამ ქალაქების სტადიონების ტრიბუნები უფრო მცირეა, ვიდრე „ამსტერდამ-არენისა“, მაგრამ უეფა ბილეთების გაყიდვას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს.

### „მატჩი“ – პოლიცია – ფანატები

ასეთი გრანდიოზული მუშტი-კრივი ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებს არ ახსოვს. ასობით პოლიციელმა და გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა აყალმაყალში, რომელიც ზაგრების „კროაციისა“ (ყოფილი „დინამო“) და სპლიტის „ჰაიდუკს“ (1-1) შორის გაიმართა.

### დომინგოს უყვარს ფეხბურთი

მსოფლიოში ცნობილმა ესპანელმა ტენორმა პლასიდო დომინგომ გადაწყვიტა მატერიალურად დაეხმაროს ამერიკელი ლიგის კლუბ „ვაშინგტონ დი-სი იუნაიტედს“ დომინგო ახლა ვაშინგტონის ოპერის დირექტორია და ინვესტიციები შეიტანა რამდენიმე დიდ ამერიკულ კომპანიაში. ახლა იგი იგივეს გააკეთებს სპორტის სფეროშიც. „ვაშინგტონ დი-სი იუნაიტედის“ აქციების საკონტროლო პაკეტი 25 მილიონი დოლარია. ამერიკული კანონებით კლუბებისა და მოთამაშეების ყველა კონტრაქტი საფეხბურთო ლიგის უშუალო საკუთრებაა, მაგრამ შეიძლება რომელიმე კლუბის ხელმძღვანელობის უფლება რომელიმე პირმაც შეიძინოს. დიდ მომღერალსაც პრესის ცნობით, სწორედ ამისი იმედი აქვს.

### ალიყურისათვის – დისკვალიფიკაცია 5 მატჩით

რუსეთის ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩში მოსკოვის „დინამოს“ მცველმა ერიკ იახიმოვიჩმა (ბელორუსიის ნაკრების წევრი) ხელი გაარტყა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელს. ამისათვის იგი 5 მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

### „არსენალის“ ახალი სპონსორი

ლონდონის „არსენალმა“ ხელი მოაწერა სამწლიან კონტრაქტს იაპონიის ელექტრონულ კომპანია „სეგასთან“, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი კომპიუტერული თამაშებით. კონტრაქტის თანხა, ინგლისური პრესის შეფასებით 19 მილიონი დოლარია. ამ ახალი კონტრაქტით დამთავრდა „არსენალის“ 18-წლიანი თანამშრომლობა ჯეი-ბი-სის მსხვილ კონცერნთან. როგორც „სეგას“ დირექტორ-აღმასრულებელმა ფრანსუა სესილიონმა განაცხადა, ეს იქნება ყველაზე დიდი სპონსორული კონტრაქტი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში და გამოთქვა იმედი, რომ იგი კიდევ გაგრძელდება.

### საყოველთაო ანტისადოპინგო შემოწმება!

როგორც მლს-ს (ამერიკული საფეხბურთო ლიგა) ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, მომდევნო სეზონიდან ეროვნული ჩემპიონატის უკლებლივ ყველა (!) მატჩში ჩატარდება საყოველთაო ანტისადოპინგო შემოწმება. მლს-ს სპეციალურმა კომისიამ მოამზადა პრეპარატების სრული სია, რომლის შემადგენლობაში შედის ჰონადოტროფინი, ერიტროპიეტინი, აგრეთვე დიურეტიკო, რომელიც დოპინგის მოქმედებას ანეიტრალებს. სენსაცია გამოიწვია პროფესორ იან მაკდონალდის განცხადებამ, რომელმაც გამოიმუშავა სპეციალური პროგრამა „მოსამსახურე პირების ჯანმრთელობა“. მაკდონალდი ამტკიცებს, რომ ამერიკელმა მედიკოსებმა შეძლეს უძლიერეს სტიმულატორ ერიტროპოეტინის ტესტირება, რომლის აღმოჩენის ცდებიც ადრე ხშირად მარცხით მთავრდებოდა. მაკდონალდს თუ ვენდობით, ამერიკელმა მედიკოსებმა სულ მოკლე დროში მიაღწიეს იმას, რისი გადაწყვეტაც ევროპელ ექიმებს უკვე მრავალი წელია ვერ მოუხერხებიათ.

### „აიაქსი“ იძენს და კარგავს

ამსტერდამის „აიაქსმა“ იყიდა 15 წლის ეკვადორელი კარლოს კინენოსი, რომელიც ადრე „ემელეკის“ ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა.

## ცნობები იტალიიდან

● რონალდომ გადაწყვიტა თავისი საცოლე, მოდელ სიუზანა ვერნერის რიო-დე-ჟანეიროში გაგზავნა. მას მხოლოდ ერთი მიმართულებით უყიდა ბილეთი, რაც იტალიურმა პრესამ ცუდ მინიშნებად მიიღო.

● „რომას“ უნდა ბრაზილიელ თავდამსხმელ ამოროზოს შეძენა, რომელიც ბოლო ხანს ბრწყინვალედ თამაშობს „უდინეზეში“. „უდინეზე“ დიდი შეძლებით არ გამოირჩევა და სისტემატურად ჰყიდის წამყვან მოთამაშეებს. ამჯერადაც კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ განიხილავს „რომას“ წინადადებას.

● რომის „ლაციოს“ ერთმა გულშემატკივარმა, რომელიც მკურნალობის კურსს გადის დედაქალაქთან ახლოს მდებარე ქალაქ ნეროლის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, თავისი საყვარელი კლუბის წარმატება თასების მფლობელთა თასზე იმით აღნიშნა, რომ მოიჭრა... სასქესო ასო! ექიმებმა ეს დროზე შეამჩნიეს, მიიყვანეს პლასტიკური ქირურგიის ცენტრში, სადაც პაციენტს წარმატებით გაუკეთეს ოპერაცია და აღუდგინეს „პირვანდელი მდგომარეობა“. ამ კლუბის სხვა გულშემატკივრებმა რომში გრანდიოზული მუშტ-კრივი მოაწყვეს, რის შედეგადაც დაიჭრა 37 კაცი.

განთქმული ფინელი იარი ლიტმანენი დაბრუნდა ბარსელონიდან, სადაც სამედიცინო შემოწმება გაიარა. მას არც დაუდასტურებია, მაგრამ არც უარჰყვია გადასვლა „ბარსელონაში“.

### აკრძალვა 2004 წლამდე

არგენტინელმა სასამართლომ ცნობილი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი დამნაშავედ სცნო არგენტინის ჩემპიონატის მატჩში კლუბ „ხიმნასია ი ესგრიმას“ ( ლა პლატა) მუშაკზე თავდასხმაში. მას 2004 წლის ივლისამდე ეკრძალება არგენტინაში თამაში და იძულებული იქნება რომელიმე სხვა ქვეყანაში ეძებოს სამუშაო. საქმეში არგენტინის პრეზიდენტი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი კარლოს მენემი ჩაერია, რომელიც განთქმულ პარაგვაელ მეკარეს დახმარებას დაჰპირდა.

### მარადონასა და კემპესის საინტერესო გარიგება

დიეგო მარადონასა და 70-იანი წლების არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავ მარიო კემპესის გაგებით მარადონა დათანხმდა ერთი სეზონი ითამაშოს კლუბში, რომელსაც კემპესი სათავეში ჩაუდგება.

უახლოეს ხანებში მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი მარიო კემპესი ერთ-ერთი მექსიკური კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდება. მან უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მარადონა სწორედ მის გუნდში გამოვა. ამ კლუბის სახელიც სულ მალე გახდება ცნობილი.

### ტაფარელი მიიწვია, რომარიო კი, არა

ბრაზილიისა და ჰოლანდიის ნაკრებების ხელმძღვანელობებს შორის მიღწეულია შეთანხმება ორი ამხანაგური მატჩის გამართვის შესახებ. ბრაზილიელმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ გადაწყვიტა კვლავ მიიწვიოს მეკარე ტაფარელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს გამოეთხოვა, მაგრამ ამჯერად არ გამოიძახა მეორე ვეტერანი რომარიო.

1999 წელს ბრაზილიურ კლუბებს შორის ყველაზე მეტი ოფიციალური მატჩი – 37 ჩაატარა სან-პაულუს „პალმეირასმა“.



### „ნომერი პირველი“

განთქმულმა რუმინელმა ფეხბურთელმა გეორგე ჰაჯიმ, რომელიც ამ მოკლე ხანში შეწყვეტს ნაკრებში გამოსვლას, მთავარი როლი ითამაშა თურქულ ფილმში „ნომერი პირველი“, რომელიც ფეხბურთის თემას ეძღვნება.

### კლინსმანს მოსწონს ამერიკა

როგორც კალიფორნიაში მცხოვრებმა ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, იგი ჯერჯერობით აშშ-ში დარჩენას აპირებს.

– გერმანიიდან მეტისმეტად ხელსაყრელი წინადადებაც რომ მივიღო, გადაწყვეტილებას მაინც არ შევცვლი და 5-6 წელს მაინც დავრჩები ამერიკაში. ახლა ყველაზე მეტად შვილზე ვფიქრობ, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანად უნდა აღვზარდო და არა ფეხბურთელის შვილად.

კლინსმანი, რომელმაც გერმანიის ნაკრებში 108 მატჩი ჩაატარა, კვლავინდებურად ნაწყენია გერმანიის ფეხბურთელთა კავშირზე, რომელმაც მას გამოსათხოვარ მატჩზე უარი უთხრა.

### დიდი გადაბარგება

როგორც იური ჯორკაეფმა განაცხადა, ტოვებს „ინტერს“ და საფრანგეთში ბრუნდება. აქ იგი, ეტყობა, „პარი სენ-ჟერმენში“ ითამაშებს. აქვე უნდა გადაბარგდნენ დავორ შუკერი (მადრიდის „რეალიდან“) და მუსტაფა ჰაჯი („ლა-კორუნიადან“).

როგორც გაზეთი „პარიზიენი“ იუწყება, მარსელის „ოლიმპიკის“ მცველი კოტ დ'ივუარელი სირილ დომორო „ინტერში“ ითამაშებს. შეიძლება, ასევე მოიქცეს „პარმას“ მცველი ლილიან ტიურამიც. „პარმა“ – „ინტერის“ მატჩის შემდეგ ტიურამმა მაისური გაუცვალა რონალდოს. როცა გასახდელში ტიურამს პარტნიორებმა ურჩიეს გადაეგდო ის მაისური, რად გინდაო, მსოფლიო ჩემპიონმა მათ არ უსმინა და ჩანთაში ჩადო. ამიტომაც არის, რომ ჟურნალისტების აზრით, ტიურამი „ინტერს“ მიაშურებს, რომელსაც ამ მოკლე ხანში მარჩელო ლიპი ჩაუდგება სათავეში.

### ესპანელების დიდი იმედი

ესპანელებს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების დიდი იმედი აქვთ. აქ მათი ძირითადი მეტოქეები არიან უშუალო მეზობლები – პორტუგალიელები, აგრეთვე უნგრელები და ავსტრიელები, რომლებიც გაერთიანებული ძალებით აპირებენ ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების ჩატარებას.

ესპანელებს მეტად დადებით მომენტად ჩაეთვალათ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩის ბრწყინვალედ ჩატარება ბარსელონას „ნოუ კამპის“ სტადიონზე. იქ, რაიმე მოსალოდნელი უწესრიგობის აღსაკვეთად, მათ მოიყვანეს პოლიციის უზარმაზარი 5000-კაციანი რაზმი! და მართლაც, რაიმე გაუგებრობა არც სტადიონზე, არც ქალაქში არ მომხდარა, თუმცა ბევრი ინგლისელი თუ გერმანელი გულშემატკივარი უბილეთოდ დარჩა და თამაშს მხოლოდ დიდ ეკრანზე თუ უყურა.

როგორც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა ხორხე პერესმა განაცხადა, ესპანეთის არც ერთ კონკურენტს არა აქვს მსგავსი ინფრასტრუქტურა და შესანიშნავი სტადიონების ასეთი ფართო არჩევანი. სწორედ ამას ემყარება ესპანელების დიდი იმედი.

### ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსასვლელად

პორტუგალიურმა „ბოავიშტამ“ ქვეყნის ჩემპიონ „პორტუსთან“ ერთად მოიპოვა უფლება ითამაშოს ჩემპიონთა ლიგაში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს იქნება „ბოავიშტას“ ფაქტობრივი დებიუტი დიდ ევროპულ ფეხბურთში, კლუბის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ცდილობს შემადგენლობის გაძლიერებას. მეკარე ვილიამი თითქოს აპირებდა გუნდის დატოვებას, მაგრამ „ბოავიშტას“ მესვეურებმა შეძლეს მისი შენარჩუნება და მეკარემაც ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახლა კლუბი ცდილობს თავდამსხმელ აიევის შენარჩუნებას, რომელსაც სურს ლისაბონის „სპორტინგში“ გადასვლა.

## ესპანური ფეხბურთის ამბები

● მადრიდის „რეალმა“ დაარღვია ხელშეკრულება ხორვატიელ დავორ შუკერთან. 26 მაისს მას გადაეცა ბრილიანტებით მოოჭვილი კლუბის ოქროს სამკერდე ნიშანი, გამოუცხადეს მადლობა იმ წლებისათვის თავდამსხმელმა „რეალში“ რომ გაატარა. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ „რეალს“ სურს თავის რიგებში იხილოს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების მცველი, 20 წლის რიო ფერდინანდი.

● ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, ხორდი კრუიფი დატოვებს „სელტას“ და დაუბრუნდება „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომლის საკუთრებადაც ითვლება.

● როგორც „ვალენსიის“ ვიცე-პრეზიდენტმა ხაიმე მოლინამ განაცხადა, იგი „ვენებს გადაიჭრის“, თუკი არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი კლუბს დატოვებს.

● მადრიდის „ატლეტიკოს“ გენერალურმა დირექტორმა მიგელ ანხელ ჰილ მარინმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მილანის „ინტერისათვის“ ნახევარმცველ ვლადიმირ იუგოვიჩის მიყიდვის შესახებ. ახლა მას („ატლეტიკოს“ მეპატრონე ხესუს ჰილის შვილს) მოლაპარაკება სურს ალესანდრო დელ პეროსა და არიელ ორტეგას ყიდვის თაობაზე. ამ უკანასკნელის შეძენა სურთ აგრეთვე „ბოლონიას“, „რომას“, „პარმასა“ და არგენტინელ „რივერ პლეიტს“.

### პაპენის გამოსათხოვარი მატჩი

კვირას მარსელში გაიმართა გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელის ჟან-პიერ პაპენის გამოსათხოვარი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის ნაკრები და მსოფლიო ვარსკვლავებისაგან შედგენილი გუნდი. პაპენმა საფრანგეთის ნაკრებში პირველ ტაიმში ითამაშა, შემდეგ კი დატოვა მინდორი. მატჩი დასრულდა ფრედ – 2-2.

### როგორ დაჩაჩანაკდა „ინტერი“

იტალიური კლუბები „ინტერი“ და „ბოლონია“ ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ უეფას თასზე მონაწილეობის უფლებისათვის.

პირველი მატჩი მილანში საკმაოდ მოულოდნელად მოიგო „ბოლონიამ“ ანგარიშით 2-1. კვირის განმეორებით შეხვედრაში (ბოლონია) კვლავ მასპინძლებმა გაიმარჯვეს იმავე ანგარიშით 2-1 და ამრიგად, უეფას თასის მორიგ გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

### იარცევი: როგორ გინდა იმუშაო ასეთ პირობებში

მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელმა გიორგი იარცევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას არანორმალურ პირობებში უხდება მუშაობა. უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში მას სხვა რამე არ გაუგონია, თუ არა: „იარცევს ხსნიან... ხსნიან... ხსნიან“. ასეთ ვითარებაში კი წარმატების მიღწევა, საერთოდ, შეუძლებელია.

მას შემდეგ, რაც მოსკოვის „დინამო“ დამარცხდა რუსეთის თასის ფინალში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“, ხმები იარცევის განთავისუფლების შესახებ კიდევ უფრო გაძლიერდა. ახლა მის შემცვლელად უკვე დაჟინებით ასახელებენ ანატოლი ბაიდაჩნის, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ გაანთავისუფლეს სოჭის „ჟემჩუჟინას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან.

# საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია



## აცხადებს მიღებას 1999 — 2000 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

### I. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

დღის სწავლება:

1. **მწვრთნელთა ფაკულტეტზე** (ქართული და რუსული სექტორი) მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ტრადიციული კარატე, ძალოსნობა, კრივი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიის სროლა, სათხილამურო სპორტი, ველოსპორტი, მეკლდეურობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, რაგბი, ცურვა, მძლეოსნობა, სპ. ტანვარჯიში, მხ. ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, სპორტული ცეკვები, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი.

გამოცდები ჩატარდება სპორტის არჩეულ სახეობაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია" და „ადამიანი და ჯანმრთელობა"), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

2. **პედაგოგიურ ფაკულტეტზე** მიღება იწარმოებს: ა) მასობრივი და გამაჯანსაღებელი სპორტის სპეციალობა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობა (ქართული სექტორი).

გამოცდები ჩატარდება საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია" და „ადამიანი და ჯანმრთელობა"), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭება სამხედროდან დემობილიზირებულთ.

აკადემიის დღის სწავლების სტუდენტებს (გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადების სპეციალობისა) საშუალება მიეცემათ ერთდროულად მიიღონ მეორე (პარალელური) განათლება შემდეგ სპეციალობაში:

ა) სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია;

ბ) სპორტის ჟურნალისტი;

გ) სპორტის ფსიქოლოგი;

დ) აქტიური დასვენებისა და ტურიზმის მენეჯერი;

ე) სპორტის ბიზნესის მენეჯერი;

მეორე სპეციალობაზე სწავლა ნაწილობრივ ფასიანია და ჩარიცხვა მოხდება 15 სექტემბრამდე, სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ.

აკადემიის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან ერთ-ერთ (პარალელურ) სპეციალობას, მიენიჭებათ სათანადო კვალიფიკაცია.

**აკადემიის დაუსწრებელ ფაკულტეტზე მიღება იწარმოებს (ქართული სექტორი):**

ა) მწვრთნელი; ბ) ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი; გ) ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი; დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი.

უფასო სექტორზე გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია" და „ადამიანი და ჯანმრთელობა"), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

საბუთების მიღება იწარმოებს: 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე.

**ფასიანი სწავლება**

დღის სწავლების ყველა სპეციალობაზე.

ფასიან სექტორზე შემსვლელი აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ ტესტირებულ გამოცდას ფიზიკურ მომზადებაში.

ფასიან სექტორზე უკონკურსოდ ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, რომლებმაც უფასო სექტორზე მიიღეს დადებითი შეფასება და ვერ ჩაირიცხნენ.

დღის განყოფილების ფასიან სექტორზე მიღება იწარმოებს აგრეთვე სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე (გამოცდები ჩატარდება ბიოლოგიაში და ფიზიკურ მომზადებაში)

ფასიან სექტორზე განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე.

ტესტირებული გამოცდა ჩატარდება 17, 18 აგვისტოს, ფასიან სექტორზე ჩარიცხვა მოხდება მათ მიერ პირველი წლის სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 26 აგვისტოსი.

სწავლების ყველა ფორმაზე მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით მომსახურეობა ფასიანია. აბიტურიენტს აღნიშნული თანხა არ უბრუნდება.

ღია კარის დღე ჩატარდება 5 და 12 ივლისს, 12.00 სთ-ზე.

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კოლეჯში** მიიღებიან 9 კლასდამთავრებულები ზოგადი პროფილის მედდის და მასაჟისტის სპეციალობით.

სწავლების ვადა — 2 წელი.

კოლეჯის კურსდამთავრებულები სურვილის მიხედვით უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აკადემიის ფასიანი განყოფილების მეორე კურსზე არსებული სპეციალობების მიხედვით.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში (ტესტური მეთოდით). კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, არასრული საშუალო განათლების ატესტატი, (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ გაიცემა აკადემიაში, 6 ფოტოსურათი (3X4).

საბუთების მიღება იწარმოებს: 1 ივნისიდან 20 აგვისტომდე.

ტელ: 29-37-62; 23-32-69;

### II. ივ. ბერიტაშვილის სახ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „მედიკორი"

მიღება იწარმოებს დღის სწავლების სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლის ხანგრძლივობა 7 წელია. მისაღები გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი — 11-16 ივლისს, მეორე — 20-25 აგვისტოს შემდეგ საგნებში:

1. ბიოლოგია („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა") ზეპირი; 2. ქიმია — ზეპირი.

ფრიადოსნები და სამედიცინო კოლეჯდამთავრებულები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (გარდა კვირისა), 25 ივნისიდან 20 აგვისტომდე, 10.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე. სწავლის ქირის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

— „ღია კარის" დღე გაიმართება 10 ივლისსა და 19 აგვისტოს, დღის 12.00 სთ-ზე, აკადემიის შენობაში, III სართულზე, ფიზიოლოგიის კათედრაზე.

ტელ: 29-27-95; 23-20-08;

### III. სტომატოლოგიურ ინსტიტუტში

მიღება იწარმოებს დღის განყოფილებაზე 1999-2000 სასწავლო წლისათვის. საბუთები მიიღება 20 ივნისიდან ყოველდღე (გარდა კვირისა), 10.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე.

გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი — 19-დან 23 ივლისამდე, მეორე — 10-დან 14 აგვისტომდე.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (ტესტური გამოცდა), ქიმია (ტესტური გამოცდა).

ფრიადოსნები, რომლებიც გაივლიან გასაუბრებას, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

**სტომატოლოგიური ინსტიტუტის კოლეჯი.** კოლეჯში მიიღებიან 9 კლასდამთავრებულნი. კოლეჯში სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია. კურსდამთავრებულები მიიღებენ კბილის ტექნიკოსის კვალიფიკაციას.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან., ყოველდღე, 25 აგვისტომდე (კვირის გარდა).

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას: ბიოლოგიაში (ტესტური გამოცდა), ქიმიაში (ტესტური გამოცდა).

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ფრიადოსანი სტუდენტები სტომატოლოგიურ ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან.

კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, არასრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (გაიცემა აკადემიაში), 6 ფოტოსურათი (3X4).

ტელ. 29-37-61;

### IV. უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი

დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური) ქართული და რუსული სექტორები.

მესამე კურსიდან ისწავლება მეორე სპეციალობა, ერთ-ერთი უცხო ენა ან საერთაშორისო ჟურნალისტიკა. სწავლის ვადა — 5 წელია, სრული სახელმწიფო პროგრამით.

მაის-ივნისში იმუშავებს უფასო მოსამზადებელი განყოფილება. ტელ: 29-37-61; 29-39-60;

**უცხო ენების და ლიტერატურის კოლეჯი**

კოლეჯში მიიღებიან 9 კლასდამთავრებულები.

სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია. კურსდამთავრებულები მიიღებენ რეფერენტის სპეციალობას შესაბამის უცხო ენაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან ყოველდღე 25 აგვისტომდე (კვირის გარდა).

აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას უცხო ენაში (ტესტური მეთოდით).

კოლეჯის კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტში.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, არასრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (გაიცემა აკადემიაში), 6 ფოტოსურათი (3X4).

ტელ: 29-37-61; 23-05-61;

**აკადემიის სწავლების ყველა ფორმაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად**

აბიტურიენტმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (გაიცემა აკადემიაში), 6 ფოტოსურათი (3X4).

ცნობას სამხედრო ვალდებულების შესახებ და პასპორტს წარმოადგენს პირადად. ყველა აბიტურიენტი ვალდებულია სამედიცინო ფორმა №086-ის მისაღებად *სამედიცინო შემოწმება გაიაროს აკადემიაში.*

ფიზიკური აღზრდის აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტზე შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს სპორტული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი სპორტის არჩეულ სახეობაში.

აკადემიაში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა და სტუდენტი, რომელიც აღნიშნულ კათედრაზე გაივლის სამხედრო მომზადების კურსს, მიიღებს ოფიცრის წოდებას.

აკადემიაში არსებობს ასპირანტურა.

**მისამართი:** ქ. თბ., ი. ჭავჭავაძის გამზირი 49.
**ტელეფონი:** 29-37-62; 23-03-75;

## სმირნოვი: ამერიკელებს არაფერს დავუთმობთ

**როგორც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა განაცხადა, 2000 წლის ოლიმპიადაზე რუსი სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილისათვის იბრძოლებენ.**

**— ნეიტრალურ მინდორზე ამერიკელებს ბრძოლას გავუმართავთ.**

**სმირნოვის განცხადებით 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთი სულ მცირე 450 კაცს გააგზავნის. მათი 80 % დაახლოებით წლევანდელი დეკემბრისათვის გახდება ცნობილი, საბოლოო სია კი მაისში გამოცხადდება. რიცხობრივად რუსეთის დელეგაცია ეტყობა, მესამე იქნება აშშ-სა და ავსტრალიის გუნდების შემდეგ.**

**როგორც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა განაცხადა, რუსული დელეგაციის იმედები სპორტის ისეთ სახეობებზეა დამყარებული, როგორიც არის კრივი, ჭიდაობა, ცურვა, სინქრონული ცურვა, ხელბურთი, ბატუტი (იგი ოლიმპიადაზე პირველად იქნება წარმოდგენილი), სროლა, ძალოსნობა და ა.შ.**

**როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ოლიმპიური მედლების მოპოვებისათვის სპორტსმენებს იმდენივე თანხა მიეცემათ, რამდენიც ატლანტისა და ნაგანოს თამაშებში მიიღეს.**


## „ტოტო-ლოტო" — მილიონთა თამაში!

*30 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეერთე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**1. 3. 18. 29. 35. 42.**
3 ციფრი – 1.80 ლარი.
4 ციფრი – 17.20 ლარი.
5 ციფრი – 426.90 ლარი.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი" 33 368 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **1. 2. 2. 6. 5. 7. 1.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 6 ივნისს.
*ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი-98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში ფონდის ოფისში (ქ. შარტავას № 40). „გოლი-98"-ის და „ოლიმპ"-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზები ყოველ კვირადღეს გათამაშდება.*
*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია!*
*გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


## ხსოვნა — ბურთთან დარჩენილი სიყმაწვილე



**კახა ნონიაშვილი ზურგზე ჩანთამოკიდებული, გრძელი ნაბიჯებით შეაბიჯებდა ხოლმე მშობლიურ საფეხბურთო სკოლის ეზოში. რა წამს, თანაგუნდელებს მოჰკრავდა თვალს, მიაძახებდა: — დაიცათ, დაიცათ ბიჭებო! — მეც თქვენთან ერთად მოვდივარ! საჩქაროდ გამოიცვლიდა ტანსაცმელს და მათთან ერთად გაექანებოდა საფეხბურთო მოედნისაკენ.**

**უყვარდა ბიჭს მწვანე მინდორი. ოცნებით დაჰქროდა ზღაპრულ სამყაროში, დიდ ფეხბურთელობაზე ფიქრობდა. ფეხბურთისადმი სიყვარული კი დედამ, ნუნუ გელხაურმა გაუღვივა, როცა ჯერ კიდევ სულ პატარას თავისთან, კასპის სპორტსკოლაში დაატარებდა.**

**უკვე სექციაში მომეცადინე, საფეხბურთო გადაცემების დროს, ტელევიზორის ეკრანს არ სცილდებოდა. სურვილი ჰქონდა მიებაძა მიხეილ მესხისათვის, ვლადიმერ გუცაევისა თუ დათო ყიფიანისთვის. განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა ბრაზილიელთა თამაში.**

**ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როცა კასპის „განთიადში" მიიწვიეს — გახდა საუკეთესო ცენტრალური მცველი, ნახევარმცველი, გუნდის კაპიტანი, გამორჩეულად ტექნიკური მოთამაშე, გუნდის თვალისჩინი და საიმედო დასაყრდენი. ბურთის სიყვარულმა მრავალგზის შემოატარა საქართველოს ქალაქები, უცხოეთის ქვეყნები. ჟიტომირის საკავშირო ტურნირში, მიხეილ მესხის თასის გათამაშებასა თუ სხვა შეჯიბრებებში ბევრჯერ გამოიჩინა თავი და გუნდიც ასახელა. იყო გამარჯვებების სიხარულიც და ოფლის წვეთებში გარეული ცრემლის მწარე განცდაც. სპორტმა დაავაჟკაცა, აზიარა კაცურ ცხოვრებას. სწავლაშიც გამოირჩეოდა — უყვარდა მათემატიკა, უცხო ენა...**

**მერე ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მაგრამ III კურსელს უმუხთლა ბედმა, მეგობრის ბედნიერების დღეს, ავტოკატასტროფამ შეიწირა მისი სიცოცხლე და ოცნებები. ის ჯერ მხოლოდ ოცი წლისა იყო, სიცოცხლის ხალისით აღსავსე, მეგობრების, საერთოდ ადამიანების უსაზღვროდ მოყვარული, სიკეთის განსახიერება. ასეთი ახალგაზრდები ქვეყანას აკლდება, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც დედას, რომლისთვის ამქვეყნიდან წასული შვილი მარად გაუნელებელი ტკივილია.**

**3 ივნისს 40 დღე სრულდება, რაც კახა ნონიაშვილი მარადისობას შეუერთდა. ნათელში იყოს!**

მარინე ყაბანაშვილი

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3-4. კემპესი, 5. ადემირი, 7. ბერლუსკონი, 9. ნოდია, 10. ჯენოა, 11-12. ოსკარი, 13. იაშინი, 14. ბრიტო, 16. ეტორი, 20. ანდერლეჰტი, 21-22. აუგუსტო, 23. ილგნერი. **შვეულად:** 1. ჰაიდუკი, 2. ამანსიო, 3. კამაჩო, 6. იდალგო, 7. ბატისტუტა, 8. იუვენტუსი, 15. რივერა, 17. რუჯერი, 18. ბერგომი, 19. მალდინი. **დიაგონალურად:** 3-12 კაბრინი, 13-6. იაშვილი, 21-12. არარატი, 13-24 ინგლისი.

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ეf3! 1. ...ef 2. კf5X.**
**1. ...c2 2. ლd2X. 1. ...მფc2 2. ლb1X.**
**1. ...მ – 2. ლ:c3X.**

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე